ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

1

იანვარი 1992

154



„ნ ი ა ნ გ ი ს“ ვედრება თავისი ხელისმომწერისადმი

პირშავადა ვარ მე შენთან, ალარ ვიცინის პირიო,
ყოფნა-არყოფნის დამიდგა ჟამი და ამას ვსტირიო,
ქაღალდი, პოლიგრაფია გახდა ძალიან ძვირიო,
მეც იძულებით გავძვირდი, დიდი მაქვს გასაჭირიო:
ო რ - ნ ა ხ ე ვ ა რ ი მანეთი დამედო ფასად ამ ფლიდან,
ძვირფასო ხელისმომწერო, თუ არ გსურს ჩემი განწირვა,
მაშინ ო რ მ ო ც ი მანეთი და კაპეიკი ო თ ხ მ ო ც ი —
ღირებულება სულ ოთხი თხელკოლოფიან „კოსმოსის“ —
გთხოვ, დაამატო იმ თანხას, რომლითაც გამოიმწერე,
დახურვას გადამარჩინე, შენი ჭირიმე, ვიშველე!
იქ, სადაც გამოიმწერე, თუ გადაიხდი ამ თანხას,
მაშინ არ დავიხურები და ვიარსებებ კარგა ხანს,
მთელი ამა ფლის მანძილზეც გამოწერილი ბეჭნები
და მომავალ წელს, გპირდები, ფეხებედნიერი შეხვდები!
მეც მთელ ჩემს ძალებს მოვიკრებ და გულიანად გაცინებ,
თუკი არ გაგეცინება, გამაკრიტიკე მაშინვე!
მოვალ და დაგეხმარები, თუ ჩემი თავი დაგჭირდა,
თუ უკანონოდ მოგეჭცნენ, სუყველას დავსჯი სასტიკად!
გაისად, ზუსტად სამ ივნისს, სამოცდაათი ფლის ვხდები! —
„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“, ღმერთი გამყოფებს
დიდებით!

ძვირფასო ხელისმომწერო, მე მჯერა შენი ნაღდობა,
ამიტომ გიხდი წინასწარ ულრმეს, უდიდეს მადლობას!

P. S.
ვინაც ვერ გამოიმწერა და გულით უნდა, მიკითხოს,
იმას ვთხოვ, ჩადგეს რიგში და კიოსკში მაინც მიყიდოს!

ჩაიწერა
ზაურ ბოლქვაძემ.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციასთან საზოგადოებრივ-კოოპერატიულ-საბაზრო საწყისებზე ჩამოყალიბებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. სიცილ-ხარხარის საბროკერო ფაკულტეტი;

2. ღიტინის კომპიუტერიზაციის ფაკულტეტი;

3. თეთრი და შავი იუმორის მარკეტინგის ფაკულტეტი.

სწავლება სიცილის უნივერსიტეტში ფასიანია... ყოველწლიურად — 100 პავლოვისეული ასმანეთიანი კუპიურები ან ნიკოლოზის ოქროს თუმნიანები. სტუდენტებს შეასწავლიან სიცილს მსოფლიოს ნებისმიერ ენაზე, ხოლო ხარხარს, ხითხითს, ღრეჭას და ქირქილს — ამორჩევით, ერთ რომელიმე ენაზე. მისაღები გამოცდები ტარდება პირუკუ, ანუ წინაუკმო: აბიტურიენტები ნებისმიერ კითხვას უსვამენ გამომცდელებს და მათგან ირჩევენ მომავალ პროფესორებს ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად გამომცდელებმა უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო ხარისხის და წოდების დამადასტურებელი საბუთები, პარტიული დახასიათებები (არ მიიღებიან კომუნისტები და წითელი ინტელიგენტები), ხოლო აბიტურიენტებმა — მხოლოდ საკუთარი თავი (რაც უფრო ცარიელი იქნება, მით უკეთესი!) საშუალო განათლება მათთვის არ არის სავალდებულო! უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაჭრილი აბიტურიენტები, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ იუმორის გრძნობა და მათ მაშინვე დაენიშნებათ ფრიადოსნის სტიპენდიები. ხოლო მათგან განსაკუთრებით მოხარხარეებს — არისტოფანეს და მოლიერის სახელობითი სტიპენდიები!

უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი სპეციალობები ცრუინტელიგენტის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად: სიცრუის სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები, საბჭოთა დეზინფორმაცია და ეროვნული ინფორმაცია, კომუნისტური კარიერიზმი და ეროვნული ხალხის სამსახური, საფანდურო პატრიოტიზმი და საფორტეპიანო-სავიოლინო კოსმოპოლიტიზმი, კომუნისტური მაფია და ეროვნული კაფია.

უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი რიგდება წინასწარ!

სწავლება, რამდენიც გნებავთ, იმდენწლიანია. იგი დაიწყება რომელიმე ორშაბათს თბილისის ქუჩებში სტაბილიზაციის მიღწევისთანავე.

უნივერსიტეტის კონტიგენტი არ არის განსაზღვრული. მიიღება ნებისმიერი მოქალაქე განურჩევლად ასაკისა, სქესისა და პარტიულობისა. საკმარისია, თუნდაც ღოღავდეს და ლუღლუღებდეს და არ იწვეს მიწის ზემოთ თუ ქვემოთ!

გადავაქციოთ საქართველო-სავალდებულო უმაღლესი განათლების კერად!

უნივერსიტეტის რექტორატის დავალებით—

აკციპიტერი

ბაირამ სალიმოვი
(ქ. მახაჯკალა)

მამედის ქუდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

29074

მამედს შეემთხვა ამბავი ცუდი —
ცოლი მოუკვდა!.. კაცმა დარდიდან
გადასწყვიტა, რომ მეუღლის ქუდი
არ ჩამოეხსნა საკიდარიდან!

დრო ყველა დარდის არის მკურნალი,
მამედისთვისაც საშველი გაჩნდა:
ისევ შეირთო მამედმა ქალი,
ცოლის ქუდი კი ისევ იქ დარჩა!

ბედი იყო თუ განგების ძალა,
თუ უბედობა მამედის თანაც,
ასე იყო თუ კიდევ სხვაგვარად,
მამედს ეს ცოლიც გარდაეცვალა!..

ორი ქუდი რომ ერთად ეკიდა,
ჩვენი მამედი ცოცხალ მკვდარს
ჰგავდა
და მწუხარება რომ გაეფანტა, —
ერთი ქორწილიც გადაიხადა!

ცუდია, როცა ცუდ საქმეს ცუდი
დაბოლოებაც კიდევ თან ერთვის! —
საკიდზე გაჩნდა მესამე ქუდი,
მაგრამ ეს ქუდი იყო... მამედის!

თარგმნა ლევან სულავამ

— ცერცვი რა ღირს?
— 35 მანეთი, ბატონო!
— გაგიუდი, ქალო?! კედელს უნდა შევა-
ყარო, საჭმელად კი არ მინდა?!

ნახ. ჯ. ლოლუასი

თემა მურმან მერკვილიშვილისა

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

ახალი წელი თბილისში 12-ბალიან მიწისძვრას მოგვაგონებს, რომლის ეპიცენტრია თბილისის საკოლმეურნეო ბაზარი!..

მე, როგორც ყოველ ახალ წელს, ამ ახალი წლის წინა დღეებშიც მხოლოდ იქ დავდექი, სადაც ყელგამოჭრილი ყრია გოჭები!..

გამოვედი თუ არა სახლიდან, მაშინვე მომშივდა (რა გასაუზმებს, თუ არაფერი გაქვს?!), შევედი სახაჭაპურეში. ერთ ხაჭაპურს მაინც შევჭამ, გული არ წამივიდესმეთქი!.. ხაჭაპური 90 კაპიკი გამხდარა, თან ისე უნამუსოდ დაპატარავებულა, რომ ოთხკუთხედის ფორმა მიუღია. 25-მანეთიანი გავუწოდე გამყიდველს!..

— ხურდა არაა, წადი, დაახურდავე! — შემომიბღვირა.

დავახურდავებდი, აბა, რა ჯანდაბას ვიზამდი?! ხუთ წუთში მოვბრუნდი და... ხაჭაპური უკვე მანეთნახევარი გამხდარა! სასწრაფოდ ვიყიდე, სანამ ვჭამდი, 2 მანეთზე ავიდა!.. დაჩქარება აქ უნდა დაიტრაბახონ! გახარებული, 2-მანეთიანი ხაჭაპური რომ მანეთ-ნახევრად მივირთვი, მხნედ გავემართე ბაზრისკენ. იქ კი:

— რა ღირს, ქალბატონო, ქათამი?

— ეს ქათამი არაა, ეს დედალია! — გამათვითცნობიერა პატრონმა, რა და, 75 მანეთი და 50 კაპიკი!

— 50 რაღაა?! — გავიკვირვე მე.

— წინასწარი გაყიდვის ფასი! — განმიმარტა მყისვე.

— რა ამბავია, შე ქალო?! 75 მანეთად შარშან ბურვაკი ვიყიდე!

— ამას რომ უყურებ, გენაცვალე, უბრალო დედალი არ გეგონოს! წინიდან ჩანს ასე, თორემ, თუ შეაბრუნებ და თუ დაელოდები, კვერცხსაც გადმოაგდებს ნაშუადღევს!..

— უმამლოდ?!

— მამალი აგერაა, მაგას 80 მანეთი უნდა!

ვიგრძენი, მამალიც სერიოზულად მიყურებდა.

— რას ლაპარაკობთ, ქალბატონო?! ტაქსის ფული აღარ დამრჩეს ჯიბეში?!

— აბა, რას ამბობ?! ამ დედალს უმამლოდ გაგატან?! დავუნგრიოთ ოჯახი?! იცი შენ, ამათ როგორ უყვართ ერთმანეთი?! მაგათი დედა კვერცხების დადებას გადაყვა!.. ბავშვობიდან ერთად არიან. ორივეს თუ წაიყვან, გაგატან, ისე — არა!

— თუ მამალია, დაიყიგლოს! — ვიქეცი ირონიად.

— გაცივებულია, წუხელ 38 ჰქონდა სიცხე!.. მიგყავს?!

ეამოვიგლი-მეთქი, უნდა მეთქვა, მაგრამ ხაჭაპურზე ცუდად მქონდა დაცდილი და დედალ-მამალი სასწრაფოდ მოვათავსე ჩემხელა ხელჩანთაში. ხელი დამომძიმდა, ჯიბე შემიმსუბუქდა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ბუნებაში ყველაფერი წონასწორობის კანონს ემორჩილება. წავიწიე წინ და ვიკითხე:

— ეს ინდაური რა ღირს?

— ამას, ბატონო, 300 მანეთი უნდა! — მომახალა მწითურმა ბიჭმა.

— მაგას უნდა თუ შენ?!

— ამ ინდაურს მოგცემ 300 მანეთად! თუ გინდა, მანეთს დაგიკლებ, მეტი რა ვქნა, ძმაო?!

— მოიცა, ჯერ გოჭს ვიყიდი!..

— იცი რა?! ამ სიფართე ჰალსტუხი გიკეთია და მანეთზე მელაპარაკები, ნამუსი აღარა გაქვს?! — გაბრაზდა ინდაურის პატრონი.

— მოგცემ ამ ჰალსტუხს და მომეცი ინდაური! — შევედი აზარტში.

— მოგცემ ჩემს „ვალინკებს“ და დამიყენე „გაზ-24! — ვიგემე შებერტყილის პასუხი. ცივად გავშორდი. დადგა ის დრო. რომ ჩემს ლაპარაკს ყველა კუთხეში ჩიხში ამწყვდევენ! ეჰ, აღარ ღირს ცხოვრება, მაგრამ...მაგრამ ახალ წელს რა ვუყო?!..

— გოჭი რა ღირს? — ვიკითხე.

— 400 მანეთი.

— გოჭი?!

— კი, გოჭი! — მეუბნება დაკუნთული ახალგაზრდა.

— თვალები რატომ აქვს დახუჭული, ხომ არ მოკვდა?! — დავეჭვდი ორმაგად.

— „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, როცა შეჭამ, გაიღვიძებს!“ — გამირითმა ბიჭმა.

გოჭს მანქანის გასაღების წვერი ვუჩხვლიტე. ერთი ამომხედა და, მგონი, შემიკურთხა კიდევაც. 400 მანეთი იქვე გადავუთვალე. ახლა ლობიოს მივუბრუნდი:

— 25 მანეთი, ნენა! — საწყლად შემხედა ლობიოს გამყიდველმა.

— 25 მანეთი, ქალბატონო, სამი ქათმის ფასია!

— ეს სხვანაირი ლობიოა, შვილო! თუ გინდა ახალ წელს იმოქმედოს, ერთი დღით ადრე უნდა მიირთვა!

ლობიო გამოირიცხა.

— ყველი რა ღირს?

— ეს ყველი კი არა, ქარვაა, გენაცვალე. ქარვა! 60 მანეთი ღირს! არ იძვიროთ! დამეზარა წასვლა, თვარა ამაზე რუსეთში 200 მანეთად არ მალაპარაკებდნენ! — შემატყო, რომ გავშრი კაცი და შემომესმა:

— 30 მანეთად მოგცემ!..

— 30 მანეთად ცოლისდას გაგატან. თუ უცოლო ხარ! 4 წელია, ჩემთან ცხოვრობს, ვაბარებო!.. აბარებს ყოველ წელს და!.. ეს ყველია, ძმაო?! — ცივად დავცილდი.

ორი ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული და ვიღაც ქალს ბავშვის სათამაშო ავტომატი გადაეკიდებინა მხარზე. ავტომატი შავი იყო და ნამდვილს ჰგავდა.

— რა ღირს? — ვკითხე.

— 20 მანეთი!

— მომეცი! — ვიღრიალე და 25-მანეთიანი ჩავუჩურთე ჯიბეში. ავტომატი მხარზე მოვიგდე და შევბრუნდი.

— გოჭი რა ღირს? — მივადექი ერთ მორიგ „მსხვერპლს“.

— როგორ გეკადრებათ, გვარდიას ვენაცვალე მე! წაიღე, გენაცვალე! რავა, ყველაფერი კი არ იყიდება! წაიღე, ფეშქაში იყოს, ოღონდ ეგ იარაღი დამალე!

გოჭი მოზრდილი იყო და ხელში მესიამოვნა.

— გმადლობთ! — ვთქვი მოკლედ.

— გამოიარეთ ხოლმე!

— ყველი მინდოდა!..

— აგერაა, ძმაო, წაიღე, შენი კაპიკიც არ მინდა!.. მაიცა, არ გავარდეს ეგ ოხრად დასარჩენი!..

— ვა, როგორ ვიჩქარე, რომ შენ შეგეგეჭრე, გენაცვალე! აიღე, აიღე, ჭირიმე! ვა, რა ლამაზი ავტომატია! ბევრს ისვრის, არა? აწონა რად უნდა?! წაიღე, საყვარელო!..

ბაზარი ქოთქოთებდა, მე წინ მივიწევდი!..

— ნიგოზი მინდა!

— მერე ვინ გიჭერს, გენაცვალე?! კილო — არაფერი, ორი კილო —

— სულ არაფერი! — მანქანა გაივსო. ბოლოს ერთ მოხუცს მივადექი.

— რა ღირს, ძია, შენი მსხალი?

— კილო მანეთი, შვილო!

— ამიწონეთ 10 კილო!..

მოხუცმა ათი მანეთი ჯიბეში ჩაიდო. მეჩქარებაო, მითხრა! გული დამეწვა!..

— აიღე ეს ავტომატი და შვილიშვილს მიუტანე-მეთქი!

— არა, შვილო! — მძიმედ ამოიოხრა დალოცვილმა. ავტომატი კაცს კაცად არ აქცევს! ეგ კაცს, ერთს, აფუჭებს, მეოთხეს — კლავს! მოიძვრე და გადააგდე! აჰა, შენი თუმანი, ოღონდ ეგ ეშმაკის მოგონილი გადააგდე!.. ხალხს ნერვები ისედაც დაწყვეტაზე აქვს, შენ კიდევ არ მიუმატო რამე ცოდვა!

P. S. ზემოთ მონაყოლი, ჩემი ობოლ-სიზმარი გახლავთ და მეტი არაფერი!..

მურმან მერკვილიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ინტერვიუ

ტელევიზიის კორესპონდენტი (რა თქმა უნდა, მიკროფონით ხელში) ქუჩაში აჩერებს ტურისტების ერთ ჯგუფს და გამართული ინგლისურით მიმართავს:

— გამარჯობათ! თუ არ გცდები, თქვენ უცხოელი ტურისტები ბრძანდებით!..

— დიახ, ტურისტები ვართ ამერიკის შეერთებული შტატებიდან!

— პირველად ხართ საქართველოში?

— არა, უკვე მესამედ!

— ძალიან სასიამოვნოა! ალბათ, რაღაცით მოგეწონათ ჩვენი სამშობლო, რაკი მესამედ ჩამობრძანდით!

დიახ, ძალიან მოგვწონს, შესანიშნავი ქვეყანაა. რაც მთავარია, ჩვენ აქ ვიკვებებით ნაკლებად ცხიმიანი საჭმელებით და გასუქებისაგან დაზღვეულები ვართ! სიმსუქნის პირველი მტერი ლუდია, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, თქვენთან ისეთი ლუდი მზადდება, რომ მისი დალევის სურვილი არასდროს დაგებადებათ! სხვა ქვეყნების სასტუმროებში იანვარში სიცხით რომ ვიხუთებით, თქვენთან, პირიქით, ცივ ოთახებში გვძინავს, სიცივეში ძილი — ეს ჯანმრთელობაა!.. აქ ჩვენ უკვე გადავეჩვიეთ ცხელი შხაპის ყოველდღიურად მიღებას! ცივი შხაპის მიღება, როგორც მოგეხსენებათ, აკაუებს ადამიანის ორგანიზმს. რაც მთავარია, გადავეჩვიეთ თამბაქოს წევას! მისასალმებელია, რომ ასე ზრუნავთ ადამიანის ჯანმრთელობაზე!

აქ ვისწავლეთ ისიც, რომ ფული ჯიბით არ უნდა ატარო და ხელჩანთა ტაქსში არ უნდა დაგრჩეს! პირადად მე ტაქსის მძღოლად ვმუშაობ ატლანტაში და ძალიან მომწონს ის, რომ თქვენი ტაქსისტები ხურდას არასოდეს აძლევენ კლიენტებს!.. ჩვენთან ეს მეთოდი რომ დაინერგოს, ალბათ, წლებია საჭირო!

— გმადლობთ ინტერვიუსათვის.

— გაუმარჯოს ტავისუპალი საკარტველო! — ეს უკვე ქართულად თქვა უცხოელმა.

შემდეგ კორესპონდენტი აჩერებს გემოვნებით ჩაცმულ შავგვრემან უცხოელს.

— გამარჯობათ! — მიმართავს ისევ ინგლისურად.

— ასალამ ალეიქუმ! — პასუხობს უცოელი.

— თურქეთიდან ბრძანდებით?! — თურქულზე გადადის კორესპონდენტი.

— დიახ, თურქეთიდან, ხოფა...

— პირველად ხართ საქართველოში?

— პირველად ვარ და ძალიან მომეწონა მემლექეთი, ბუნებაც ლამაზია და ხალხიც!..

— რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— გეტყვით: აი, თქვენი მაღაზიები თითქმის ცარიელია და საიდან ჩამოაქვთ ქართველებს თურქეთში ამდენი საქონელი — ბროლის ლარნაკები, ელექტროუთოები, საათები, ქოლგები, ცხვრის საპარსები, ნამგლები, ცელები და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამ?!

— მდაა?!

— ერთი მაოცებს კიდევ: აქ იანვარში ისე ცხელა, რომ ლამის ეს პიჯაკი გავიხადო და თურქეთიდან რომ ეზიდებიან და ეზიდებიან ამდენ „დუბლიონკებს" და ქურქებს, როდის უნდა ჩაიცვან?!

— მდაა?!

— კიდევ რა მიკვირს, იცით?! აი, აქ ქუჩებში ასეთი ლამაზი ვაუკაცები დადიან და იქ კი თქვენი ზოგიერთი ქალები!..

— გმადლობთ ინტერვიუსათვის.

— ჯგირო ორცა, ჯიმა კოჩი! — ეს უკვე ლაზურად სთქვა უცხოელმა.

მოისმინა ნოდარ ხუნწარიამ

ხუმრობა ყოველმაზეთია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უდიდესი ტყუილი

ცხვრის ფარას უძღვის სარჭალი, —
ამბობენ, დათვის შვილია!..
ახლა ის არის მართალი,
რაც უდიდესი ტყვილია!
ლომად რომ გამოაცხადეს
ეს დაწყევლილი რწყილია, —
გამტკიცულ ფქვილად გვახადა
ძველი წისქვილის ხრილია!..
მამულის მკერდზე რომ ცოცავს
ეს ხაზიზღარი ტილია, —
ჩახჩახა მზედ მოგვინათლა
ის სუსხიანი ჩრდილია!
ვითომდა ბასრი მახვილი
ატკივებული კბილია,
სამსალას გვაწვდის ჭიქითა,
თან დასძენს: „შესვით, ტკბილია!"
სიმართლის მთქმელთა ჩახშობა
ამ სიხხლისმსმელის ლხინია,
ქუჩებში რომ დაჩინდრიკობს
ყურებპანტურა ვირია, —
ის საქართველოს მტერია,
მოუშორები ჭირია!..
რომ მოვიშოროთ ეს ჭირი,
დიდი გმირობა გვჭირია!

ყველა ყიამყრალი ერთად ყიამყრალობს!..
სიკეთე მცირდება, ბოროტება მრავლობს!

* * *

ჩირაღდანის ჩამქრობელი
ეკუმენეთის მძებნელია,
კარგი მამის ცუდი შვილი
დედის მაგინებელია!
ცუდი დედის კარგი შვილი
სანთლით არის საძებარი,
ცუდი მამის კარგი შვილი
გახლავთ დედის მაქებარი!

* * *

დავინახე ჯუჯა კაცი, —
ჩამეწვეთა შხამი ხულში!..
„ამას მაინც ბომ ვჯობივარ?!" —
გავიფიქრე ჩუმად გულში,
გაფრთხილების ხმა მომესმა:
„თავმდაბლობა სჯობსო,
რა გამოლევს ქვეყანაზე
მჯობის მჯობის მჯობსო?!"

ფურნეში

აქ ცხვებოდა კარგი პური,
ახლა აღარ ცხვება!..
ქართული პურის მცხობელი
წარამარა რცხვება!..

* * *

შემნახველი სალარო ვერ ინახავს ვერაფერს,
თუ ვერ გაძლევს პენსიას, ბანკს აბრალებს
ყველაფერს!
ბანკი კიდევ წუწუნებს: იმპერია მახრჩობსო,
ფული მჭონდა ყელამდე, ის დრო კარგად
მახსოვსო,
მაგრამ ვინმე პავლოვმა ფული გამიბონაო:
— ცალკე რას იქაჩებით, უნდა დარჩეთ
მონაო!
მიხტის ჭრიჭინობელა, უკან მისდევს კალია:
— ყველა უბედურება იმპერიის ბრალია!

* * *

ეს მეცნიერი, ვით ცა და მიწა,
მეცნიერთაგან ისე შორს არის!
მე წავიკითხე მისი „ნაშრომი"
და ხელში შემრჩა ციტატოსანი!

* * *

იმ ტყუილებით უნდა წაიქცე,
რა ტყუილითაც იცხოვრე, კაცო!
წაიქცევი და ველარც ადგები! —
შენ გაგიმარჯოს, სიმართლევ, მკაცრო!

შინაგერას სინანული

მუხლი მოეგრა ქეთევანს,
გულმა დაუწყო კანკალი,
თუმცა ასი წლისამ მოიმკა
მისი კეთილი სამკალი:
შვილები, შვილიშვილები
დაზარდა, ბარე ორმოცი,
ჭოჭოლას მაყრის და მკილავს
მე, უშვილძიროდ რომ მოვცდი!
მკილავს და მართალიც არის,
ქმარ-შვილში უნდა ვხარობდე,
სიმაღლით ცასა ვწვდებოდე,
მიწაზე დავბალნარობდე!..
რა ვქნა, მოვტყუვდი ძალიან,
ხელთ შემრჩა შინაბერობა,
ერის ღალატი ყოფილა
უქმარშვილობა — მტერობა!

* * *

სოფელშიაც, ქალაქშიაც დიდი გასაჭირია,
ვერაფერსაც ვერ იყიდი. ყველაფერი
ძვირია!
სოფელშიაც, ქალაქშიაც, ყველგან ფული
ბონია!
რახანია სადილ-ვახშმად ხორცი არა მქონია!

ცანცარა

არ დაუნახავს სვეტიცხოველი! —
არ სურვებია, თურმე, მზის ხილვა!
ჯერ არ ასულა ჯვრის მონასტერზე! —
სულაც არ ელტვის, თურმე, სიმაღლეს!
არ შეუვლია ბეთანიაში, —
ურეოლას რომ იწვევს ადამიანში!
არ გაუვლია სიონის ახლოს,
არც ქაშუეთის მზერით დამტკბარა!..
მოკალაქეა, თბილისში ხახლობს
ლოთი, უქნარა, ფლიდი, ცანცარა!

ღალატი

ქართველს ქართველი ხმალს უქნევს,
ლამის დაიჭრან ყელები!..
სიცილით იგუდებიან
პირშავი ჩრდილოელები!..
ქართველს ქართველი არ ინდობს, —
თაკილობს მოძმის გატანას!..
გადაივიწყა დედ-მამა,
სული მიჰყიდა სატანას!
წინაპრის აშენებულმა
რუეკა დაიწყეს ბურჯებმა!..
სულ იოლია ღალატი,
თუ კაცი გადარჯულდება!

მიკვდება გული!
(საუბარი ბაზართან)

— ალისფერ ყვავილებს ცეცხლი უკიდია!
— ბეჩა, სამი ცალი თუმნად უყიდია!
— სად ჰქონდა იმ ობერს ამდენი ფული?
— ყვავილს რომ ჰყიდიან მიკვდება გული!

კოლეგიაში
(რეზერვის სია)

ათი წელი ვიყავი საიმედო რეზერვი,
არ დამანინაურეს და სინანულს ვეძლევი!..
არავინ იხედება რეზერვების სიაში,
თურმე როდი სცალიათ კო-ლე-გი-ა-ში!

ძალად განათლებულს!

თქვენ ევროპული ენები იცით,
და არაფერი — ქართული ენის!
არ მჯერა თქვენი ნათქვამი ფიცის,
შხამშერეული ქაფიან ქშენის!
თქვენ ევროპული ენები იცით,
სულ არაფერი — ქართული ენის!
ერისკაცებზე გაბრაზებულო,
შორს ჩვენგან, ძალად განათლებულო!

ქალის „ჩულქი"
(ხუმრობა)

თვალი წასვლია „ჩულქს", ყანი მოუჩანს
ქალს!..
ასეთი „ხილვა" მძულს, მაგრამ ქე მტაცებს
თვალს!..
თვალი წასვლია „ჩულქს", კანი მოუჩანს
ქალს!..
თუმცა ვაწვალებ სულს,
თვალს ვალევინებ წყალს!

გიორგი უფროსაშვილი

გიორგი უფროსაშვილი
უმცროსი გახლდათ ყველაზე,
თუ ნადირობდა, — მარტოკა
იმ გაწუწკებულ მელაზე,
ქათმებს რომ ჩამოერევა
და ატიალებს საქათმეს!..
ნადირობს ჩვენი გიორგი,
როდი აკეთებს სხვა საქმეს!
უფროსობს უფროსაშვილი
და ნაკრძალშიაც ნადირობს!..
ისეთი შემძლებელია,
სულ უფროსებთან სადილობს!

უშრომლად გამდიდრებულზე

დრო იყო, ჩემთან შეხვედრას
მზესთან შეხვედრას ადრიდი,
ამუამად აღარ გინდივარ, —
რევიზორივით გამდიდრდი?!
უშრომლად გამდიდრებულსა
მალე მოელის დაცემა!..
შენც ასე დაგემართება, —
ჩიტმა მაცნობა მაცნემა!

სკამი

მომეცით სკამი, წერის უნარი,
ყველა გაზეთი დამბეჭდავს უმალ!
უსკამოდ გავხდი დასაწუნარი,
უსკამოდ, თურმე, მუზები ხდუმან!
გადმოსვით სხვა და მე დამსვით სკამზე,
მეც ავმღერდები ბულბულის ხმაზე!

ვაი-ერისკაცი

ვაი-ერისკაცს ოთხი სახლი აქვს,
კვლავ აიშენა შარშან მეხუთეც!..
ხალხი გაკვირის: „ნუ აგვიანებთ,
ჯერ შეაჩერეთ, მერე შეხუთეთ!
წარმოიდგინეთ, სამნი არიან
და ხუთი სახლი რა ჭირად უნდათ?!
საზღვარგარეთი ექვსჯერ იხილა...
და ვაი-ერისკაცად დაბრუნდა!

თავის ერის ქონებას მიიხვეჭს და მიითლის,
სახლს იშენებს მეექვსეს, აიშენებს?! ვინ
იცის!

ავტობუს-ტროლეიბუსში

სხვაგან რა ხდება, არ ვიცი,
ჩვენს უბანში კი ასეა:
ავტობუს-ტროლეიბუსი
მუდამ პირთამდე სავსეა!..
ვერ შეხვალ ვერაფერი გზით,
გინდ დაიგლიჯო ღილები!..
ისმის უშვერი სიტყვები:
„რას მერჩი, რას მეღრინები?!“
გაჩერებაზე მძღოლები
ტემპს უმატებენ ხვლიისასა:
„ქორწილში გაგვიანდება,
ქალი წავიდა ხვიხასა!“ —
ასე ხუმრობენ მგზავრები,
რა ეხუმრებათ, ტიალებს?!

ავტობუს-ტროლეიბუსში
გაიცნობ ადამიანებს!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო ჩანახატი

მთავარი ნაკლი ქართული მწერლობისა, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ის არის, რომ არ იწერება ჩვეულებრივი, ადამიანური ცხოვრების თემებზე, ან ძალიან ნაკლებად იწერება. ადრე, კომუნისტობისას, გეგმების ან სახელმწიფოებრივი მანქანის დანამატი იყო ლიტერატურა. ახლა კი პოლიტიკამ და ეროვნულობამ წალეკა ყველაფერი, ვითომც, არც სიზმრად და არც ცხადში არ იყოს სხვანაირი, ჩვეულებრივი ცხოვრება. ვითომც, არც ვსვამდეთ და არც ვჭამდეთ სხვანაირად, არც ვმრავლდებოდეთ და არც ვიმარხებოდეთ!.. ჰოდა, მეც ამიტომ სწორედ ამიტომ, მინდა მოგიყვეთ ერთ საახალწლო საღამოზე, ჩვეულებრივ სასოფლო კლუბში რომ გაიმართა. უფრო სწორად, თოვლის ბაბუას ნაამბობი გადმოგცეთ.

„საღამო ახალ წლამდე მოეწყო. რამდენიმე დღით ადრე, კლუბის გამგის ინიციატივით მაყურებელთა დარბაზში სკამები აეღოთ და პატარ-პატარა მაგიდები გაეწყოთ (მრგვალი კი არა, ოთხკუთხა), საღამოს პროგრამაც და სცენარიც თვით კლუბის მუშაკებს შეედგინათ. იყო ქართული და ევროპული სამეჯლისო ცეკვებიც, სიმღერებიც, იყო ნაძვის ხე და ორი თოვლის ბაბუაც (ერთი ოპოზიციის კი არა, ჩვეულებრივი). სტუმრები, სოფლის ახალგაზრდობა და ინტელიგენცია იყო ძირითადად. რაიონიდან მოწვეულებიც გახლდნენ.

ერთი ბაბუა მე ვიყავი.

საღამო მიჰყავდა სცენარის ერთ-ერთ ავტორს მიკროფონით. ძირითად მომენტებს მოკუვები, რა თქმა უნდა.

მე ძველი წელი გახლდით, მეორე ბაბუა კი — დამდეგი. ორივე ხურჯინებით გამოვედით, მაგრამ ხელი რომ ჩავყავი საჩუქრებისათვის, შიგ არაფერი აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე დადგენილება ამოყვა ხელს (ერთი რესპუბლიკური და ერთიც ამ სოფლის ხელმძღვანელებისა). თითქმის ყველა, რა თქმა უნდა, შეუსრულებელი. სოფლის უფროსების დადგენილება თვით იმ შენობის (კანტორის) სახურავის შეკეთებას შეეხებოდა, კლუბი რომ იყო შიგ მოთავსებული. ესეც შეუსრულებელი. ხმამაღლა რომ წავიკითხე, დარბაზის ტაშიც დავიმსახურე. ტაშს უკრავდნენ დადგენილების ავტორებიც.

არც დამდეგი ბაბუას ხურჯინი გამოდგა სახეირო, მასშიც მხოლოდ ტალონები აღმოჩნდა საჩუქრებისა. აბა, აქ იყო სიცილი, სათითაოდ რომ წაიკითხეს ეს ტალონები. კიდევ უფრო გემრიელად მიირთვეს მაგიდებზე უხვად დაწყობილი ხილი, ციტრუსები, ყურძენი, სხვადასხვა წყლები და სასმელი (ეტაკ, რა ხელფასი გაწვდა ამ სიძვირეზე ამეებს?!). ხაჭაპურიც კი იყო. ნაღდი, ზემოგმერული ყველის ცხელი ხაჭაპური, კბილებშუა რომ კრაჭუნობს!..

საღამო, ის იყო, გახურდა და აზარტში შევიდა, მოცეკვავეებმა დარბაზიდან დაიწყეს მეწყვილეთა გაწვევა, შუქი რომ გამოირთო. ამ დროს დარბაზში ერთი თამამი ქალი საცეკვაოდ იწვევდა დარბაისელ მამაკაცს. ის მორცხვობდა თუ მართლა არ იცოდა ცეკვა, უარობდა. შუქი ჩაქრა თუ არა, მაშინვე გადახტა წრეში და ჩამოუარა. ახლა ის იწვევდა ქალს. მისმა გულიანმა სიცილმა დარბაზიც აიყოლია.

სანთლები რომ შემოიტანეს, აქაოდა, გეგმიური გამორთვა თუა, კარგა ხანს ჩაგვაბნელებენო, საღამოს წამყვანმა ანეკდოტების წუთები გამოაცხადა. სოფლის ექიმმა ასეთი რამ გაიხსენა:

— ერთხელ ერთ ქალს (სხვა სოფლელს, რა თქმა უნდა), წამალი გამოვუწერე — სამჯერ მიიღეთ-მეთქი! რეცეპტი რომ გამომართვა, მკითხა, არ შეიძლება შინ დავლიოო? თურმე ასე წაეკითხა, სამჯერ ტუეშიო!

— ჩემი შემთხვევაც უნდა გიამბოთ, — წამოდგა რაიონის მთავარი სპეციალისტი, — მაშინ სხვა რაიონში ვმუშაობდი. მიღებაზე ერთი ქალი შემოვიდა კაბინეტში. ავადმყოფობის ისტორიას ვწერდი და თავი არ ამიღია. ვანიშნე, გაიხადეთ და მეც ახლავე მოვალ-მეთქი! კუთხეში, თეჯირს იქით, ტახტი მედგა. იქ ვანიშნე. წერაში ისე გავერთე, ავადმყოფი გადამავიწყდა. ერთიც ვნახოთ, მესმის კრინით ნათქვამი, — ექიმო, შენ არ იხდიო?!.

დარბაზში აჰიხვინდნენ!..

ერთ საათში შუქიც აინთო და ორიგინალური სადღეგრძელოს თქმა შესთავაზეს დამსწრეებს. მაშინაც რაიონიდან მოწვეული სტუმარი წამოდგა.

— ეს გაუმარჯოს იმ მთავარ მონტიორს სოფელშიც, რაიონშიც, რესპუბლიკაშიც, მომავალ ახალ წელს რომ გაგვანათებს და შუქგამოურთავად გაგვატარებიებსო! — დარბაზში ტაში დასცხეს, არ ვიცი, სადღეგრძელოს ეკუთვნოდა თუ სინათლეს?!.

— მე მგონი, აქ დაბრიყვებას აქვს ადგილი! — წამოდგა სოფლის მასწავლებელი (ლიტერატორი), — სულ რომ კონფერანსიე გვეკითხება და პასუხს მოითხოვს, ჩვენ რა, მოსწავლეები ხომ არა ვართ?! რა იქნება, ჩვენც დავსვათ კითხვა?

— ბრძანეთ, ბატონო!

— უფრო სწორად, კითხვა კი არა, გამოცანასავით იქნება. რითმის გამოცნობა. ერთ კუპლეტ შაირს ვიტყვი და ბოლო სიტყვა, რითმა, თქვენ გამოიცანით!

— იმე! ერწამა?!

— ამაუყურეშენ!

— ვეცდებით, ბატონო! — ეს უკვე საღამოს წამყვანი იყო.

— ახალი წლის შესახვედრად, ყველგან ცხვება მჭადიც, პურიც, ჩვენს სუფრაზეც ბლომად იყო, საუცხოო...

— უი, მამიკვდეს თავი, ხაჭაპური შემოგაკლდათ?

იმ სუფრას მაშინვე მიართვეს ხაჭაპური, ესეც თქვენი პრემიაო!

საერთოდ, იმ საღამოს პრიზები არ დაუშურებიათ. ერთი მათგანი მეც ვირგედიახ, დიახ, ვირგე, რადგან იგი მეორე ბაბუას მიაკუთვნეს და გამოცხადება მე დამავალეს. მე კი ჩემი თავი გამოვაცხადე. ვინ წამეჩხუბებოდა?! ასეც რომ მომხდარიყო, ვიტყოდი, ვიხუმრე-მეთქი!

...წასასვლელად რომ წამოვდექით, პალტოები რომ ჩავიცვით და ქუდები ჩამოვიფხატეთ, მეორე ნაბაბუარი დემონსტრაციულად წარუდგა დარბაზს. მივდივართ და არ იფიქროთ, რაიმე მიგვქონდესო! სათითაოდ გადმოიბრუნა ყველა ჯიბე და პორტფელიც კი გამოფერთხა (გრიმები ეწყო შიგ). ჯერი ჩემზე დადგა. მეც გავიქაჩე პატიოსნებაზე, მაგრამ პალტოს გარე ჯიბიდან ჯერ ჩურჩხელა ამოყვა ხელს, უბიდან კი — მანდარინი. გამიკვირდა და გაოცებული სიფათი მივიღე ბუნებრივად. ამას ხომ სულ არ ველოდი?! ეს ხომ შერცხვენა იყო ფაქტიურად?! პალტოს ყველა ჯიბეში რაღაცრაღაცა ჩაედოთ და თითოეულის ამოღებაზე დარბაზი გულიანად იცინოდა. უნდა გენახათ, უბის ჯიბიდან რომ ქაღალდში სუფთად გახვეული ხაჭაპურის ნაჭერი ამოვიღე, ხალხი პირდაპირ ახარხარდა. არ გავიდა ფიცი-მტკიცი, — ვიღაცამ მიმტრო-მეთქი! უფრო მეტად იცინოდნენ!..

მეორე ნაბაბუარს რომ შევხედე, ყველაფერს მივხვდი და ყველაფერი მას გადავეცი. ამის მოწყობილია და ამას ეკუთვნისმეთქი! ვინ დაგაცალა! ისევ ჯიბე-უბეში ჩამიტენეს, მას კი ქაღალდის პარკში ჩაუწყვეს კოხტად. თუ ამის მოწყობილია, შეარგოსო!

ერთი სიტყვით, საღამო მხიარული გამოვიდა, გულთბილიც, ასე რომ არ ყოფილიყო, რა გაგვაძლებიებდა გაუთბობელ დარბაზში?!

დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი! არმად ნაშოვნი არავის არ შერჩება, არც თოვლისა და არც სხვა „ბაბუას“!

სოსო მაჭარაშვილი
(ქ. საჩხერე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სამი მანეთი მოგეცი, შე კაცო, ერთ ხაჭაპურში და, გრამი ყველი არაა შიგ!..

— ყველიანი ხაჭაპური ცალკე იყიდება, ᲐᲐ მანეთი უნდა!

ᲒᲣᲚᲐᲚᲢᲔᲠᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ:

● ᲒᲐᲓᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐ-ᲒᲐᲓᲛᲝᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲕᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑ ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲡᲝ.

● ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝᲡ ᲥᲕᲔᲑᲡ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ ᲒᲐᲕᲙᲠᲐᲕ ᲮᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ, ᲨᲔᲛᲛᲝᲠᲬᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲘᲜᲐ ᲛᲧᲐᲕᲡᲝ?!

● ᲒᲐᲢᲛᲜ ᲠᲔᲕᲘᲖᲝᲠᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲐᲬᲣᲑᲔᲑ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐᲝ!

● ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲗ ᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲐᲪ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐᲝ!

● ᲚᲣᲙᲛᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛᲐᲐ, ᲓᲘᲓᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛ ᲗᲣ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲡ, ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲚᲣᲙᲛᲐᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲡᲝ!

● ᲮᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲘᲒᲔᲑ, ᲙᲐᲪᲡ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲗᲐᲒᲕᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ, ᲗᲣ ᲒᲝᲕᲘ ᲣᲤᲧᲘᲕᲘᲡᲝ!

● ᲙᲐᲪᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲔᲜᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲓᲐᲣᲢᲙᲑᲔᲑᲐᲝ!

● ᲗᲣ ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲔᲠᲘ ᲮᲐᲠ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ, ᲬᲐᲠᲣᲨᲚᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲗ!

● ᲒᲣᲚᲐᲚᲢᲔᲠᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲨᲔᲜᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲜᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲐᲮᲔᲓᲔᲑᲝ!

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ!..

— ᲡᲐᲓ ᲘᲧᲐᲕᲘ, ᲫᲐᲛᲐ, ᲐᲛ ᲓᲘᲚᲐᲣᲗᲔᲜᲐᲐ?

— ᲞᲠᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲐᲨᲘ!

— ᲕᲘᲡ ᲣᲙᲑᲘᲜᲔ ᲐᲮᲚᲐ?!

— ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲙᲑᲘᲜᲐ, ᲡᲐᲙᲑᲔᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ!

— ᲐᲑᲐ?!

— ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ!..

— ᲛᲔᲠᲔ?!

— ᲕᲔᲠ ᲛᲘᲒᲘᲦᲔᲑᲗᲝ!

— ᲠᲐᲢᲝᲛ, ᲙᲐᲪᲝ?! ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲐᲕᲘ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ?!

— ᲙᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ... ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ!..

— ᲛᲔᲠᲔ ᲠᲐ, ᲪᲝᲓᲕᲐᲐ ᲔᲡ?!

— ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ, ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲕᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲗᲝ!..

— ᲐᲑᲐ, ᲒᲐᲕᲥᲐᲜᲓᲘ ᲘᲥᲘᲗ!

— ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ!..

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲚᲝᲠᲘᲐ
(Ქ. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ)

ეპიგრამა

ვინ — ვის?!

მოსკოვი-სოჭის მატარებლის კუპეში ოთხნი არიან. სამი — ნომენკლატურული პარტმუშაკი და ერთიც — შუახნის ებრაელი.. ურთიერთგაცნობის შემდეგ გაიბა საუბარი. ხან მთისა თქვეს, ხან ბარისა და ერთ-ერთმა პარტმუშაკმა ხუმრობით კბილი გაკრა ებრაელობას. იქ მყოფმა ებრაელმა ასევე იუმორის ფარი აიფარა და ოპონენტი ჩაიჩუმა. ჩაჩუმებულს კოლეგა შეენაცვლა და ისიც დამარცხდა!..

მართალია, იუმორითა და ანეკდოტებით გაზავებულმა პოლემიკამ საკმაოდ ღრმად შეტოპა, ებრაელი სიმშვიდეს არ კარგავდა და ღიმილით იგერიებდა ყველა თავდასხმას. ბოლოს ოპონენტებმა იმძლავრეს, „მოწინააღმდეგე კუთხეში ჩაიშუკდიეს“ და თავიც გამარჯვებულად ჩათვალეს, მაგრამ უცებ მოწინააღმდეგემ ღრმად ამოიოხრა, — არა, ამხანაგებო, — თქვა მან, — მოვუხმოთ ისტორიას! — ლ. ვადახედა „საცოდავებს“ (ეს გულში გაიფიქრა, რა თქმა უნდა!).

— რისი ისტორია, რა ისტორია?! — მხიარულად შესძახეს გამარჯვებულებმა.

— ვნახოთ, ვნახოთ! მხოლოდ მეტად მოკლედ გავიხსენებ! თანახმა ხართ? დიდი მადლობა! მაშ, ასე: იყო ეგვიპტე, ვიყავით ჩვენ; არ არსებობს ეგვიპტე, ვარსებობთ ჩვენ; იყო საშუალო საუკუნეების ამაზრზენი ინკვიზიცია; მისი კვალიც აღარ დარჩა, ჩვენ კი ვართ ამ ქვეყანაზე! შემდეგ იყო გაუგონარი საშინელება — ფაშიზმი! იგი განადგურდა, დავრჩით ჩვენ!

— მერე, მერე?! — ერთხმად შესძახეს კომუნისტებმა.

— მერე ის, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ახლა დავრჩით ჩვენ და კომუნისტები!

— რრრაო, რრრაოო?! — უკვე შეუღრინეს ებრაელს, — ამით რა გინდათ, თქვათ?!

— არაფერი, ამხანაგებო, დამშვიდდით, არაფერი გარდა იმისა, რომ ჩვენ და კომუნისტები გავედით ფინალში!

ჯოჯოხეთში

ერთი ცნობილი ბოლშევიკის ცხოვრების გზა ჯოჯოხეთის კარებთან დასრულდა. ზღურბლს გადააბიჯა. თვალში ორი წარწერა მოხვდა — „სოციალისტური სექტორი“ და „კაპიტალისტური სექტორი“. მიიხედ-მოიხედა და ამ უკანასკნელისაკენ გაემართა.

— ამხანაგო, ყეყეჩო, დუურაქ, სად მიაბოტებ?! — მოესმა მას ჩურჩულითა და მოგუდული ხმით შეძახილები სოცსექტორიდან და მათკენ წავიდა ფრიად გაბრაზებული სახით.

— როგორ მიბედავთ?! მე...

— ღვთის ცეცხლი! — შეეხმიანა ხანდაზმული, ეტყობა, ყოფილი დიდი პარტმუშაკი, — სად მიწანწალებ, იცი?! აქ, ჩვენთან ჯობია: ხან კუპრი თავდება, ხან — გაზეთი, ხან ცეცხლი არ არის, ხანაც — ნახშირი!.. სულის მოთქმის საშუალება გვაქვს, იქ ყველაფერი საათივით არის აწყობილი, არაფრის საშუალება არ არის, გაიგე?! სად წახვალ?!

ცნობილმა ბოლშევიკმა, რა თქმა უნდა, მინგრეულ-მონგრეული სოციალისტური სექტორი არჩია, რაც მის მიერ დატოვებულ საუფროსო მეურნეობას მოაგონებდა.

საბოლოო ინტერვიუ

მოსკოვის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტიდან დეპეშა მიიღო მისმა თბილისის ფილიალმა: „სასწრაფოდ მიავლინეთ ექსპედიცია პერიფერიაში, მოძებნეთ უხუცესი რევოლუციონერი და გამოაგზავნეთ მასთან საუბრის ჩანაწერი“!

დატრიალდნენ თბილისში, გამოთვალეს: ყველაზე რევოლუციური კუთხე საქართველოში, ცხადია, გურიაა. გურიაში — ჩოხატაური, ჩოხატაურში — სურები, სურებში — ზემოსურები! დაიძრა ექსპედიცია და აგრიალდა ზემოსურებში. მოიძებნა ვეტერანიც, მაგრამ შენც არ მომიკვდე, — შეჯდა ჯორზე და ისიც უკუღმა, — სასტიკი უარი განაცხადა საუბარზე: — მე, ბიძიკო, ჩემი სათქმელიც ვთქვი და საქმეც ვქენი, სხვაი ნახეთო!

არაფერმა გაჭრა, გარდა რაიკომის ბრძანებისამ.

— მაშინ, — თქვა მან, — რასაც ვიტყვი, ყველაფერი ჩაიწერეთ!

უსიტყვოდ დათანხმდნენ.

— ვცხოვრობდი ჩვენ პირობებში კარგად, ოჯახი — კაი, საქონელი — კაი, ყანა — კაი, ვენახი, მაღლარი, ისიც კაი! მარა რაცხა არ მომეწონა ნიკოლოზე მეფე და 1902 წელს დოვუწყე ჩხიკინი, ბოლოს და ბოლოს, გამოვუცხადე ჩხუბი! კი, ნამდვილად! გამაფრთხილა ერჯერ, ორჯერ! მოვისვენე? დევიტსოტ პიატში სულ გადვირეე მეც. სურები, სურები კი არა, მთელი გურიასამეგრელო და ქვეყანა! აბა! მარა, იცოცხლე-თქვა ნიკოლოზამ დღე გაგვითენა, მე მაინც: გამომიგზავნა ალიხანოვ-ავარსკი (დეიქცა მისი ოჯახი, რავარც იმან მე დამაქცია!), გადამიბუგა სახლ-კარი, გამიწყვიტა საქონელი, მე კი გამაციმბირა!.. დავამთავრე ვადა, ჩამოვედი. წამოვაყენე ფეხზე გაპარტახებული სახლ-კარი. მოვმაგრდი. არ მომითმინა გულმა, ისევ დავუწყე ჩხუბი, გადავაგდე ტახტიდან!.. მევიდენ მენშევიკები, დევიხმარე რუსის ჯარი და გადავრეკე ზაგრანიცაში!..

გავასაბუნე საქართველო, შენ ხარ ჩემი ბატონი და, საბოლოოდ დავანგრიე ჩემი ოჯახიც!

აგული დადიანი

ნახ. ბ. ალფოლოვი

უფულოდ

ფოტოეტიუდი ირაკლი დუნდუასი

რად მიატოვე სოფელი?!

რად მიატოვე სოფელი,
რად ჩამოხვედი ქალაქსა?!
მოშვებული გაქვს თმა-წვერი,
არ ეკარები დალაქსა!

რად გსურს, ჩააქრო ლადარი
შამაპაპეულ კერაზე?!
სოფელში გარჯას რად არჩევ
უქმად ხეტიალს ვერაზე?!

ღვინოს ყანწებით მიირთმევ,
მოვლა კი არ გსურს ვაზისა!
ნეტავ, რა დედამ გაგზარდა
ახე „ხათნოდ“ და „აზიზად“?!

რად დაუტოვე ბებიას
შენი დარდი და ნაღველი?!
მუქთახორობით ამქვეყნად
ვინ მოიპოვა სახელი?!

სულიკო დიასამიძე

„პერესტროიკა“

ცეცხლის ფასი დაადეს
ხორცს, ყველსა და „სლოიკას“! —
აი, თურმე რა არის
„ჩვენი პერესტროიკა“!

გაუდიდეს გეგმები
ბულდოზერს და „სტროი-კრანს“! —
აი, თურმე რა არის
„ჩვენი პერესტროიკა“!

ლამის ტყავი გაგვაძრო
ბენზინმა და „მოიკამ“! —
აი, თურმე რა არის
„ჩვენი პერესტროიკა“!

ახლა კოპერატივი
თუ იმედებს მოგვიკლავს,
ეს იქნება ნამდვილად
„ექსტრაპერესტროიკა“!

ბურამ კლდიაშვილი

ალბომი

რუს დამპარობლებს

თქვენი დედი და გაბრიდელები,
თქვენი მეკვლარი და ციცანალი
უფრო იაფად ფასდებიან,
ვიდრე ეიღლური მოცანარი..

ტყიანის ტალახად აშლილნი,
ხარობ, იმხადებდეთ ხარკოფაგმ!
ბალიბანი კიდევ რამდენი
ღალადი, შეურაცხეოფა?!..

აკალინეს კულე ამოგვსტეს,
ლაფი დაგაბეს მეზღირზე!
რით ვერ გაიგეთ? — არ მოგეცემი
ჩვენს კუთვნილ მიწას. კუთვნილ ბზეს!

დაბისლართს..

დაიბლართა ყველფერი წალმა,
დაგარაილდა ყველფერი ფალნ!..
რით ეუშველი, რა ვიღონი, რა ვქნა?!
წინაპრთა ხალლავები წეზნარ!..
ხაბოლოოდ გადაედგა ამა ბმაბ,
გაიეკეთეთ შეა ხაბლის კარი..
შეალლ მშობელს ისე ერიტეხედ
ლაბანდეს,
ვეგარნება, მაგ ეგართის ვალი!
მაგან უკვე ეუღეიქდა დეზნი!..
ბიალი როგორ გაიბრეფეი, კეარტი?!
ბაქაღეფლა ჩვენგან მაგალეზრთი
ეკ ზეკაბი ფაბალეფლ მიგინ!

ვაბაუთს..

ვაბაუთ, ვიღაც იმდენ კენეტს მიუშენს,
ქვას გარეშე ფარნა მოელი რიგეეს..
ხაკარაველის ბრაკეეტ ინე,
თითეკიც უკვე ხამარეში ეოუვე!..

ტაიგაში ეანან არვინ ზეიდ,
ალეინ ხნაკენ გადაბეგეფ ტრაბალს!..
ვგარინ ხალლაკ, ალხალ, ან ვერ ალანს,
ვინაც არ ქეაკ ხაკუთარი ბაბა!

ცოდვა

ზეიდლა რაბან ნაიკლად „ეიდეკ“ დაცალ,
გადაბიუვა ტვინი და ეკლალ..
ალალი და ბირეი სხვაზი ბაცალალ,
მერე ეშმობელნა ალბართი ხელალ..

ეშმაკი უნის ბაკიდელ ხალლნი,
ტვენი ალეეზეს ცოდვალი ალალ!..
მე ინე ბეკრი: ბანკვალალ ზუხალნი
ეიღალას ენდა ტაკეიანის დაბალ!..

ზაპ ბაზარზე

ზაპ ბაზარზე ავტობუსი გაჩერდა,
გადაკიზეფა ეარდი. როგორც ხალბა,
კაცის ხელი ეშმაკეფი დაბინძდა,
ხმეეფის ენდა ბაკეკარის, ალბათ!..

ხალლაც ინბინ ჩვალი ბაეშეის კიკალი,
ვიღაც ცივ ქვას ზაკარიეთ ინერნის..

ხაეკენეფ მოიტანა ტკბეფალ.
წაიბალ კი ჯერაც არ სხაბს ბინა!

ეშმაკაბაში

ეშმაკებში ბოიალა ოფალი,
ამ ბიალი ღრმის მიტიან გაბდა ურანს!..
თურქობაკან შეიინა თიფი,
გაიტანა და ლაბანეი შეაბალნა!..

ბინი ტკბინ ინაჩტება კარაში,
ვიღაც ფერანთი ფაფეუ ბაპბას ეფენს!
ბეფეი ენნა, რომ ჩიიბრაინს ზღვაზნ..
ხაკარაველის ინ ეძინის ბეუბენ!..

ეშმაკი პარიზ..

ეშმაკი არის ხაიერაგი დინჯი,
ბაბ ფერი ფარაკეს მეფიან ყვიოელ!...
ფლეს ბიკინარ, ია, ფლეს ინე ბიკინარ,
ლაპის ბაკეარინ ფლე ზკალინფელ!

ვიღაც ბეფიაინდებს: „არა ხარ ბრიეკეი,
რასაც კი ბტეკეი, ეკრანებს, გიჯერებთ
ილარეკ ბაბინეკეს: ფასაბრეკეს სიტეკეის
ეფილენბლიკ ეენ დაკიბერენ!“

ბიმეორაბენ: „ალეკერ, რა ბეკერს;
ხაბრაბრიფლ ეი ეიდეკ ფლეფეს!
ფლეს ეკანინეკ ბიკეკეი ბაბალ!
ბიილი ეიკეკ ეუფეკეფლ ფენნა!..
ბაკეკეფლა ჩვენგან ბაბალეფრთი
ეკ ზეკაბი ფაბალეფლ ბიკინ!

ეაბაუთს..

ვაბაუთ, ვიღაც იმდენ კენეტს მიუშენს,
ქვას გარეშე ფარნა მოელი რიგეეს..
ხაკარაველის ინ ეძინეკ ინე,
თითეკიც უკვე ხამარეში ეოუვე!..

ტაიგაში ეანან არვინ ზეიდ,
ალეინ ხნაკენ გადაბეგეფ ტრაბალს!..
ვგარინ ხალლაკ, ალხალ, ან ვერ ალანს,
ვინაც არ ქეაკ ხაკუთარი ბაბა!

ცოდვა

ზეიდლა რაბან ნაიკლად „ეიდეკ“ დაცალ,
გადაბიუვა ტვინი და ეკლალ..
ქეალი და ბირეი სხვაზი გაიკალალ,
მერე ეშმობელნა ალბართი ხელალ..

ეშმაკი უნის ბაკიდელ ხალლნი,
ტვენი ალეეზეს ცოდვალი ალალ!...
მე ინე ბეკრი: ბანკვალალ ზუხალნი
ეიღალას ენდა ტაკეიანის დაბალ!..

ზაპ ბაზარზე

ზაპ ბაზარზე ავტობუსი გაჩერდა,
გადაკიზეფა ეარდი. როგორც ხალბა,
კაცის ხელი ეშმაკეფი დაბინძდა,
ხმეეფის ენდა ბაკეკარის, ალბათ!..

ხალლაც ინბინ ჩვალი ბაეშეის კიკალი,
ვიღაც ცივ ქვას ზაკარიეთ ინერნის..

ეშმაკი

ეშმაკებში ბოიალა ოფალი,
ამ ბიალი ღრმის მიტიან გაბდა ურანს!..
თურქობაკან შეიინა თიფი,
გაიტანა და ლაბანეი შეაბალნა!..

ბინი ტკბინ ინაჩტება კარაში,
ვიღაც ფერანთი ფაფეუ ბაპბას ეფენს!
ბეფეი ენნა, რომ ჩიიბრაინს ზღვაზნ..
ხაკარაველის ინ ეძინის ბეუბენ!..

ეშმაკი პარიზ..

ეშმაკი არის ხაიერაგი დინჯი,
ბაბ ფერი ფარაკეს მეფიან ყვიოელ!...
ფლეს ბიკინარ, ია, ფლეს ინე ბიკინარ,
ლაპის ბაკეარინ ფლე ზკალინფელ!

ვიღაც ეშმაკებიდან: „არა ხარ ბრიეკეი,
რასაც კი ბტეკეი, ეკრანებს, გიჯერებთ
ილარეკ ბაბინეკეს: ფასაბრეკეს სიტეკეის
ეფილენბლიკ ეენ დაკიბერენ!“

ბიმეორაბენ: „ალეკერ, რა ბეკერს;
ხაბრაბრიფლ ეი ეიდეკ ფლეფეს!
ფლეს ეკანინეკ ბიკეკეი ბაბალ!
ბიილი ეიკეკ ეუფეკეფლ ფენნა!..
ბაკეკეფლა ჩვენგან ბაბალეფრთი
ეკ ზეკაბი ფაბალეფლ ბიკინ!

ეაბაუთს..

ვაბაუთ, ვიღაც იმდენ კენეტს მიუშენს,
ქვას გარეშე ფარნა მოელი რიგეეს..
ხაკარაველის ინ ეძინეკ ინე,
თითეკიც უკვე ხამარეში ეოუვე!..

ტაიგაში ეანან არვინ ზეიდ,
ალეინ ხნაკენ გადაბეგეფ ტრაბალს!..
ვგარინ ხალლაკ, ალხალ, ან ვერ ალანს,
ვინაც არ ქეაკ ხაკუთარი ბაბა!

ეაბაუთ

ნახ. გ. მორჩაძისა

ვანო ცინცაძე

პლაგიატორი

დღეს მეექვსედ იუბილეს იხდის!..
ამბობს, — ავმაღლდიო!
ვერ მოითმენს, რედაქციის
კარები, რომ არ ამტვრიოს!..
გბაძავს!.. ამ პლაგიატორმა
კუდში უნდა სანამ გდიოს?!
— მე რომ ლექსი არ დავწერო,
არის ერის ღალატიო!..
ნუთუ, ისიც პოეტია
და თქვენც, დიდო გალაკტიონ?!

* * *

წიგნებს კითხულობს, აზრები
მაინც არ შესდის ტვინში.
სულ იმას დარდობს, რატომ არ
დავიბადეთ ჭყვიშში!

* * *

პოეზია სხვა ნიჭია. სხვა „მაზანდა“.
მისი მადლი ქართველ კაცში სულ იყო!..
ჭიჭიკიაც ქუთაისში გაიზარდა.
ვერ დაწერა ვერც „მერი“, ვერც „სულიკო“!

* * *

ტრაბახობს: — ლექსით გავძელი,
ლექსით მწვერვალებს ავწევ.
თუმც არ ვარ ცისფერყანწელი,
მაინც კარგად ვცლი ყანწებს!

* * *

ერთხელ ღიმით შეეკითხნენ:
— ცოლსა და შვილს გაფიცებთ,
როშელი ხართ უფრო დიდი:
შენ თუ, ის — გ. ტაბიძე?
საპასუხოდ თქვა: — თუ გესმით
რამე ამა სოფლისო,
გ. ტაბიძის გარდა ჩვენში
დღეს ვერავინ მჯობნისო!

* * *

პოეტის ნიჭი არის ღმერთის ნება,
მაგრამ ჩვენში ეს ბევრს არ ესმის!
თუმც ყველა გალაკტიონი ვერ იქნება,
ყველამ მაინც არ უნდა წეროს ლექსი!

* * *

ბევრი ბაძავს გალაკტიონს,
ბევრი მიეთმოეთი!..
ჩვენში ერთ სულ მოსახლეზე
მოდის ორი პოეტი!

* * *

წიგნის გამოცემისთვის სასჯელი რომ იყოს
(ვიცი, ნათქვამია ძალზე უხეში!..).
თითქმის ნახევარი საქართველო
იქნებოდა ციხეში!..



ლოგიკური დაბეჭვა!!!

ბრძენკაცს **უბრძანებია, მიჯნურობა საზეო საქმეა, ყველა არ არის ღირსი ამ გრძნობისა, სამიჯნურო პირი, პირველ რიგში, თვალად ტურფა უნდა იყოსო.** კეთილი და პატიოსანი! აბა, მათხოჯი და უსახური ვის უნდა?! მაგრამ მაინც რა ქნას **„თვალად ნახმა?!“** ამის პასუხს გვაძლევს ხალხური ნათქვამი: **„ალხანას ჩალხანა არ დაელევაო“.** ამ სიბრძნის მთქმელს, მართალია, დიდ შეთასავით იყალთოს აკადემია არა ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ცხოვრების დიდი სკოლიდან კი წითელი დიპლომი ჰქონდა მიღებული!

„თვალად ტურფა“ გოგოები? რამდენიც გინდა!.. ბედს კი მაინც აბმული აქვს თვალები!..

ბრძენკაცი განაგრძობს, რომ **მარტო თვალად სიტურფე რას ეუოფა, სიბრძნეც საჭიროა მიჯნურისთვის, მდიდრი იქნება, თუ მამრიო!** ისეთ სიბრძნეს კი არ გულისხმობს ბრძენკაცი, თავად რომ ჰქონდა, ვითომ ჭკუათხელი და ცერცეტი არ უნდა იყოსო!

არც მარტო სიტურფე და არც მარტო სიბრძნე არ ეყოფა მიჯნურს, სიმდიდრეც საჭიროაო! ზოგი რუსთველოლოგი ფიქრობს, რომ **სიმდიდრეს რა ხელი აქვს მიჯნურობასთან, აქ სიმდაბლე ეწერა და გადამწერს შეეშალაო!** დაე, იყოს სიმდიდრე, არც ეს აკლიათ გოგოებს (ღმერთმა ბარაქა მისცეს დედ-მამის მონაგარს!) შემოვა გადამყიდველი, გააფრიალებს კაბას და ფასი? თქვას, რაც მისი ნებაა, სიტყვას ვინ შეუბრუნებს? შეუბრუნებს, თორემ გამოვა რამე!

ბედს მაინც აბმული აქვს თვალები!

კიდევ რა? **სიუხვე?** კი, არც ეს აკლიათ! **სიყმე?** რა თქმა უნდა! მაგრამ თუ ბედს დიდხანს ექნება აბმული თვალები, მაშინ [illegible] ვქნათ?

„სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა...“ აი, ეს ბოლო **მოცალეობაა** საქმე და! მიჯნურობას **მოცალეობა** ნდომებია! სად აქვთ ჩვენს გოგოებს მოცალეობა?! მაგრამ, ეჰ, თუკი სიყვარული იქნება? ღმერთმა ქნას!

ვითომ მოცალეობის უქონლობას დავაბრალოთ? გაუწყრა მაღალი ღმერთი ჩვენს დამაწყევარს! არ ქორწინდებიან ვაჟები და! ნესტანმა პირველმა მისწერა წერილი ტარიელს. ეეჰ, ჩვენს გოგოებსაც რომ ენახათ სამ დღეს ტრფობისაგან დაბნედილი მიჯნური, მაშინ ესენიც გაბედავდნენ აქტიურობას!

წლები მიქრიან, გოგოებო! რა ვქნათ, აღარ არიან შმაგი მიჯნურები, ღამეებს არ გაათენებენ თქვენს შუკაში, თქვენს ალაყაფთან, ვინღაა, რომ თქვენზე თქვას: **„ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“.**

ვაჟებო, რას გატრუნულხართ?! ბავშვებს ახალგაზრდა დედ-მამა უნდათ, შვილიშვილებს — მხნე პაპა და ბებია! სანანებელი არა გაგიხდეთ რა! წლებს ფრთები ასხია! დაგაგვიანდათ? სჯობს გვიან! **„ბედი, ცდა და გამარჯვება!“**

დაჩქარებაო, კაცო, დაჩქარებაო, რომ გაიძახოდნენ, ქორწინებას არ უნდა დაჩქარება?! აბა, ამას უნდა, თორემ სხვას რასა?! უნდა, მა რა!..

ერთი ხალხური ლექსი ძაგონდება: **„რა ვქნა, რა ვუყო თავსაო. ან ჩემს პატარა ქმარსაო** (ალბათ ტანმომცრო იყო ის კაცი) **არცა აქვს შენახვის თავი, არც მე მანებებს თავსაო. ყვირამდის კიდევ მოვუცდი, მემრე გავყვები სხვასაო“.** ნეტავ ამის მთქმელსა! ვთქვათ, ის კაცი უგერგილო იყო და უჭირდა ცხოვრება. საკვირველია, ისე მზად სადა ჰყავდა მოხოვნელი, რომ ორშაბათს წაიყვანდა სხვის ნაცოლარსა და ვაჟების [illegible] უნიას? შესაშურია!

ლალი მარტაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იდეა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატიდან ლიტვაში პირველად გასროლილი ტყვიასავით გამიჯდა თავში.

— რატომ ვერ უნდა გავხდე პრეზიდენტი?! — ვთქვი მე და, ყოველი შემთხვევისათვის, ჩემს უახლოეს ნათესავებს გავუზიარე გულისნადები.

— შენ ნამდვილად შეიშალე! — გულწრფელად მითხრა მამამ.

— სულაც არა, — განვაგრძე მე, — აი, მაგალითად, ვინ იყო გორბაჩოვი? კომბაინერის ჩვეულებრივი თანაშემწე, პრეზიდენტი კი გახდა! ხრუშჩოვი უბრალო მეშახტე იყო!..

— მერედა, რა?! — ჩაერია დედა.

— რა და, მე ფართო პროფილის მექანიზატორის დიპლომიანი ვარ და გადაწყვეტილი მაქვს, ხვალვე გადავდგა პირველი ნაბიჯები მომავალი პრეზიდენტობისაკენ!..

— კი მაგრამ, რითი დაიწყებ? — დაინტერესდა ბაბუა.

— რითი და, დაუყოვნებლივ ჩამოვაყალიბებ ეროვნული ხსნის კომიტეტს!..

ამის გაგონებაზე მამა მოულოდნელობისაგან იქვე ჩამოჯდა.

— საინტერესოა, ვის ამოიყენებ მხარში ამ მისიის შესასრულებლად? — ხმა ამოიღო ჩემმა უფროსმა ძმამ.

— ვის და, კოციუბას.[1] — მტკიცედ ვთქვი მე.

— ცეცხლის საჩხრეკი დღეს ვერ გიშველის! აგერ, ლიტვაში, ხომ ხედავ, ავტომატები მოიმარჯვეს?! — წაიბუტბუტა ბაბუამ.

— დამშვიდდი, ბაბუა! მე დეპუტატ კოციუბაზე მოგახსენებთ და არა კოციუბა — ცეცხლის საჩხრეკზე!..

— კეთილი და პატიოსანი, — დაიწყო ფილოსოფიურად მამამ, — შენ ეგ გვითხარი, კიდევ ვის შეიამხანაგებ ამ საქმეში?

— ალექსანდრე მოროზოვს, პუნასიუკს, რევუს, ბანდურკას[2] და უკრაინის სხვა სახალხო დეპუტატებს 239/I ჯგუფიდან. დარწმუნებული ვარ, რომ მხარს დაგვიჭერენ კიევის უმაღლესი პარტიული სკოლის პროფესორი ორლოვი და პოეტი ბორის ოლეინიკი, ჯარა-ეჭიმი კახიანი და დონეცკელი პროფესორი ბოიკო. სხვათა შორის, ბორის ოლეინიკი, ისევე როგორც მე, პრიჩკინი, რომანოვი და ცეკოვი უკრაინის დამოუკიდებლობის დეკლარაციის წინააღმდეგნი ვართ!..

— ერთი ამ კარიერისტს დამიხედეთ?! თურმე პირადი კეთილდღეობისათვის თავის ხალხსაც კი გაყიდის! — აღმოხდა აღშფოთებულ დედას.

— დიახ, ბორის ოლეინიკი ჩვენია, ჩვენი, ჩვენი კოპორტიდანაა, — სიამაყით ვთქვი მე, — ხმელიუკის, შაპოვალის, კახაანის, პოტეგენკოს კოპორტიდან!

— ჩვენ შენზე ვჩივით და არა მათზე, ისინი, შესაძლოა, გონს მოეგონ!..

— ვინ?! ბორის ოლეინიკი?! მე დარწმუნებული ვარ, იგი ედუარდ შევარდნაძესავით ვერ გადადგება, ნებისყოფა არ ეყოფა!

— დადგება დრო და თქვენ თვალებში ჩაგაფურთხებენ, საკადრისადაც დაგხჯიან!— ჩაიჩიფჩიფა ბებიამ.

— რას ამბობ, ბები?! ჩვენში დამნაშავეებს არ სჯიან, ჩვენში მხოლოდ პატრიოტები ისჯებიან! მე კი, როგორც მოგეხსენებათ, პატრიოტი არ გახლავართ! მე ერთიანი საბჭოთა კავშირის მომხრე ვარ და არა დამოუკიდებელი უკრაინისა! აბა, მითხარით, თბილისისათვის ვინმე დასჯეს? იქნებ ბაქოსათვის, ვილნიუსისთვის ან რიგისათვის დასჯეს ვინმე?! თითქოს ამ საქმეებში კრიმინალი არც კი იყოს! ახლა ხალხს ხოცავენ და შემდეგ „გულდათუთქულნი“ სამგლოვიარო მარშებს აგუგუნებენ, მერე ბორის ოლეინიკი დაკრძალვაზე მიემგზავრება ხან ყარაბაღში და ხან — ვილნიუსში, პრეზიდენტის სახელით უთანაგრძნობს დაღუპულთა ოჯახებს და შემდეგ ეროვნებათაშორისო კონფლიქტების გარჩევას შეუდგება ხოლმე! გაიგეთ?

— შემდეგ?

— შემდეგ, როგორც ფილმშია: მოვიხმობთ დესანტს, ისიც არ დააყოვნებს, დამოუკიდებლობის მოედანზე დაჯდება და სატუმრო „მოსკოვიდან“, ლენინის ძეგლიდან, დავიძვრებით რევოლუციის მსხვერპლთა ქუჩისაკენ, ავიღებთ მარიას სასახლეს და შევალთ... აბა, თუ მიხვდებით, სად?! ისტორიაში, დედი, ისტორიაში შევალთ! და, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ გორბაჩოვთან ერთად რასაკვირველია! დავარბევთ ლეონიდ კრავჩუკის[3] პარლამენტს!..

— კი მაგრამ, ხალხი?! — იკითხა ბაბუამ.

— ვინ ხალხი?! სად ნახეთ თქვენ ხალხი?! განა ეს ხალხია?!

— როგორი ხალხიცაა, პარლამენტიც ისეთია!

— კი მაგრამ, ხალხი ხომ იღვიძებს?!

— ძმაო! — ახლა ჩემს უფროს ძმას მივუბრუნდი, — ვინ იღვიძებს?! ხალხს ჯერ კიდევ სძინავს, იგი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულა! ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია, მოაწეროს თუ არა ხელი ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას?! ხვალვე შეცვლიან მას ავტომატის ჯერით და რეფერენდუმზე გავყრით, კალაშნიკოვის ავტომატის ლულის ქვეშ ისინი ხიამოვნებით დახვამენ თავიანთ ავტოგრაფს!..

— ვინც არ დაეთანხმება?

— მაშ, კონდრატიევი, კოციუბა ან პარლამენტის სხვა წევრები რისთვის გვყავს?! მათ ხომ კარგად იციან კანონები!..

— ნუთუ, ცეცხლის საჩხრეკით — კოციუბით — დაეთანხმებით ხალხს?! — დაინტერესდა ბებია.

— ბე-ბო, კვლავ გიმეორებ, ეს ის კოცი-უ-ბა ა-რა-ა, თქვენ რომ ფიქრობთ! ჩვენთვის უმთავრესი ისაა, რომ ტანკები, ვერტმფრენები და ჯავშანტრანსპორტიორები სკკპ პლატფორმაზე არიან!

— კი მაგრამ, ეს პარლამენტი ხომ მოსკოველ ძიაკაცს არ აურჩევია, იგი უკრაინელმა ხალხმა აირჩია, თორემ...

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?! პრეზიდენტი დღეს გვირჩევს, საერთოდ გავაუქმოთ ყველა რესპუბლიკური პარლამენტი, კონსტიტუცია, მისი დადგენილებები და დეკლარაციები! აი, უკვე ბორის ოლეინიკიც გამოვიდა სანგრიდან, მან კარგად იცის, რა აკეთოს! იგი ჩემთვის ლაკმუსის ქაღალდია. მეც მას უნდა მივბაძო, ახლა ჩვენი დრო დგება, მამა!..

— შვილო, — მომიგო დედამ, — რაც უნდა იყოს, კანონი ხომ მაინც კანონია?! მის წინაშე ყველა თანასწორია! ის, ვინც ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებს ძალისმიერი მეთოდებით, ხელში ხომ იარაღს იღებს?!.

— სწორედ ისაა საქმე, დედა, რომ თქვენ არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში სრულიად არა ხართ ორიენტირებულნი! ისინი, ვინც სკკპ პლატფორმაზე დგანან, არავითარ სამართალს არ ექვემდებარებიან! მათ, თქვენ წარმოიდგინეთ, მკვლელობისათვისაც არ დასჯიან! განა ამას არ ადასტურებენ ვილნიუსსა და თბილისში მომხდარი მოვლენები?!

— შენ სახრჩობელაზე დასრულებ, შვილო, სიცოცხლეს! — დაასკვნა მამამ.

— ჩვენში, მამა, ფაშიზმია და, ამდენად, სახრჩობელას არ იყენებენ!

— მხოლოდ ავტომატს, არა?! — შემახსენა ჩემმა უფროსმა ძმამ.

— შენ იქ მოხვდები, სადაც ადრე კაშპიროვსკი მუშაობდა, იუშჩენკოს აკადემიაში!

— ბაბუა, — ნაპოლეონ ბონაპარტის პოზა მივიღე მე, — აი, შენ ხელთ სკკპ ცკ-ს გაზეთი „პრავდა“ გიჭირავს და არ კითხულობ?! ჩვენ ადამიანთა უფლებებს ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ, უკრაინის რუსულენოვან მოსახლეობას!..

---

[1]) ავტორს მხედველობაში ჰყავს დეპუტატი კოციუბა. სიტყვა კ ო ც ი უ ბ ა კი უკრაინულში, გარდა გვარისა, ნიშნავს ცეცხლის საჩხრეკსაც (მთარგმ.).

[2]) უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატ-კონსერვატორთა ნაწილი.

[3]) ლეონიდ კრავჩუკი — უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

— ჩვენთან, უკრაინაში, მოსახლეობა მხოლოდ რუსულენოვანია! — მიპასუხა ბებუამ, — და თუკი ვინმეა დასაცავი, ალბათ, უკრაინულენოვანი მოსახლეობაა!..

— ჩვენ, რუსულენოვან ამხანაგებს, ძალისმიერი მეთოდებით გვაბეზეევენ თავს მკვიდრი მოსახლეობის ენას! უნდათ, გვაიძულონ უკრაინულ ბაგა-ბაღებში, სკოლებში და შემდეგ, ალბათ, უმაღლეს სასწავლებლებში სიარული!..

— ვინ გვაიძულებს?! — მხარი დაუჭირა მამამ ბებუას.

— მამა, ჩვენ, რუსულენოვან მოსახლეობას, „მეორეხარისხოვან ხალხად“ გვაქცევენ და ამდენად დაუყოვნებლად უნდა მივმართოთ პრეზიდენტს, რომ მოგვხედოს და გვიშველოს!..

— ახლა მეც მალაპარაკე! — მომიბრუნდა მამაჩემი, — შენ თავს „მეორეხარისხოვანს“ უწოდებ, ისევე როგორც „პრავდაში“ წერენ! ერთი დაეკითხე იმ შენს „პრავდას“. რომელხარისხოვანი ხალხი ვუწოდოთ მკვიდრ უკრაინელებს, რომელსაც ელემენტარული ადამიანური უფლებები, საკუთარი ენა, კულტურა და ისტორია ჩამოერთვა?! მას ხომ ყველაფერი წაღლიტეს: მიწა-წყალი, სახარგებლო წიაღისეული, ჰაერი!.. ხალხს, თქვენ წარმოიდგინეთ, მშობლიურ ენაზე არათუ სწავლის, არამედ ლოცვის საშუალებასაც არ აძლევენ! ხოლო უკრაინელები, თუკი ჩვენ სრულფასოვანი ერი გვქვია, უბრალოდ მოვალენი ვართ, ვიცოდეთ მშობლიური ენა — მშობელი დედის ენა! — ბოლო ორ სიტყვაზე ხმას აუწია მამამ.

— მე რუსულენოვანი უკრაინელი ვარ! — განვაცხადე ჩვეული ეროვნული სიამაყის გრძნობით.

— შენ იანიჩარი ხარ! — მუშტი დაჰკრა მაგიდას მამამ.

— გთხოვ, ნუ მემუქრები და ეროვნული უმცირესობის მიმართ ამ სახლში ძალას ნუ გამოიყენებ, თორემ ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტის დახმარებით 1991 წელს 1937-ად გიქცევთ!..

— შამაზემიც კომუნისტია, პატიოსანი კომუნისტი! — შემახსენა დედამ.

— პატიოსანი კომუნისტები, დედა, ბუნებაში არ არსებობენ! ეს ანტიბუნებრივი პარტიაა!.. ჩვენ ვიპყრობთ ბუნებას. ჩვენ ყველანი ათეისტები ვართ და არავითარი ღვთიური, წმინდა გრძნობა არაა ჩვენში!.. ჩვენი რელიგია — ეს ჩვენი იდეოლოგიაა! ჩვენი ღმერთები — ჩვენი ბელადებია!..

— ყური დამიგდე, შენ კოზიატინსკელო რობესპიერო! — მამას აქ ნერვებმა უმტყუნა და დემონსტრატიულად მომიღერა მუშტი!..

— როგორც კი დამარტყამ, — ერთი ტაქტიკური ნაბიჯით დავიხიე უკან, ორი ნაბიჯი რომ წინ გადამედგა, — კიევის გარნიზონის კომენდანტს მივმართავ, გესმის?! ხვალვე ტელეფონტრს ავიღებთ, შემდეგ — ჯვშირგაბმულობას ჩამინისტროს, შემდეგ კი პეტიციას წარვუდგენთ ლეონიდ კრავჩუკს თავისი უფლებამოსილების ჩაბარების მოთხოვნით და პარლამენტშიც შევალთ! ასე რომ, ჩემთან ხელების ქნევას ცოტა...

— თქვენ კრავჩუკი პარლამენტთან ახლოსაც არ მიგიშვებთ! — ჩაეცინა ჩემს უფროს ძმას დედის მხრიდან.

— ჩვენ ზუსტად ეს გვინდა! პარლამენტს ძალით ავიღებთ!

— კი მაგრამ, ხალხს ხომ დახოცავთ?!

— მაშ! უმსხვერპლო რევოლუცია ხად გინახავთ. დაო?!

— ცოდვას დაიდებთ?!

— ბები, მე ათეისტი ვარ, — რელიგია მე ვერ შემაჩერებს! ღმერთის არა მწამს რა!

— საიდან გაჩნდი ასეთი ურჯულო?! — აღშფოთებული ამბობდა ბებუა.

— დიახ, ბებუა, ურჯულო ვარ, ჯვართან არაფერი მაქვს საერთო, ჩვენ ჯერ კიდევ ომამდე ჩამოვაგდეთ ისინი ეკლესიებიდან და დარჩენილთ აწი ჩამოვაგდებთ!.. გვაცალეთ, ჯერ ოღონდ ხელისუფლება დავიბრუნოთ!.. ჯვარი რა თავში სახლელად გვინდა?! ჩვენ ავტომატი გვჭირდება, კარგად ალესილი სასანგრე ნიჩბები, „ჩერიომუხა“, რამდენიმე ტანკი და ათეულობით ჯავშანტრანსპორტიორი, შემდეგ წესრიგსაც მალე დავამყარებთ!.. უაზარმული წესებით ვიცხოვრებთ, ყველაფერი ბრძანების პირველი გაცემისამებრ შესრულდება!.. ცოტა კენჭი ვუყარეთ, ცოტა დემოკრატიობანა ვითამაშეთ და კმარა!.. დადგა სოციალიზმის აღმშენებლობის დრო! ჩვენ დამფრთხალი ლიტველები არა ვართ და იატაკვეშეთშიც არ წავალთ! ჩვენ მალე ჩვენს გვარებსაც დავასახელებთ, ისინი უკვე დღესაც ცნობილია!.. თუკი საჭირო შეიქნა, თავად გურენკო[4] გაგვიძღვება იერიშზე, როგორც კინოში განაცხადა, სახრჩობელისა კი არ ეშინია!..

— ჩათვალეთ, რომ ჩაიგდეთ ხელისუფლება, შემდეგ?!.

— მაშინ მე ავიყვან ერთ ჯავშანტრანსპორტიორს, ლენინგრადიდან მოვიწვევ ეურნალისტ ნევზოროვს, ხელში ავტომატს მივცემ და დამოუკიდებლობის მოედანზე, გუშინდელი უკრაინელი ხალხის თვალწინ, რომელსაც რუსები და პოლონელები, ებრაელები, ბელორუსები და, თქვენ წარმოიდგინეთ, თურქებიც კი განეკუთვნებიან გერმანელებთან და ფრანგებთან ერთად, სადღესასწაულო ატმოსფეროში წავუკითხავ პრეზიდენტის ბრძანებულებას! გამოვაცხადებ კომენდანტის საათს! მოვუწოდებ ყველა გაქცეული წვევამდელი თუ ჯარისკაცი დაიჭირონ და ვუბრძანებ, საბჭოთა არმიაში გაამწესონ ისინი! ჯარისკაცთა დედების თვითმარქვია კომიტეტს ცრემლმდენი გაზებით ავაწიოკებ და მსოფლიოს საზოგადოებას ვეტყვი, რომ თავიანთი სამარცხვინო შვილების გამო ტირიან! ამის შემდეგ პატრულს დავაყენებთ და გასაიდუმლოებული საზებიდან და საწყობებიდან, რაც კი გადამალული გვქონდა, ყველაფერს მალაზიებში გამოვყრიით!.. ხალხი მაშინვე შეგვიყვარებს და გვეტყვის კიდეც, აქამდე სად იყავით, თქვენ დალოცვილებო?!. აი, ასე, ჩემო ძვირფასო მშობლებო!.. აი ასე, ჩემო ნათესავებო! გუდაი, როგორც მოინგლისურე თურქები იტყვიან ხოლმე ამერიკის კონტინენტზე!.. წინააღმდეგობას თუ გამიწევთ, და ჩემს ადამიანურ უფლებებს ფინქვეშ გათელავთ, იმწუთას მოვასმენინებ მამაჩემის ხმის მაგნიტოფონურ ჩანაწერს, სადაც ჯერ არს და ვისაც ჯერ არს. ამიტომაც ვურჩევ: ასე უდროოდ ნუ ლაყბობს, — პარტბილეთს დავწვავ პროტესტის ნიშნად, თუკი ეროვნული ხსნის კომიტეტი კიევშიაც ცეცხლს დაუშენსო უიარაღო ხალხს!

და, აქ კი მე უდიდესი შეცდომა დავუშვი: მე გავთქვი საკუთარი თავი და ეს დიდი ჩანაფიქრიც ჩავშალე. ეს მონათხრობი ძალაუნებურად დაუყოვნებლივ გადავეცი ეთერში ტელეფონით. მწამს, რომ დღეს მარტო მე არა ვარ აგრე განწყობილი და ამიტომაც მოვუწოდებ ჩემს მიერ უკვე დახახელებულ და არდასახელებულ პირებს, დაუყოვნებლივ შექმნან ეროვნული ხსნის კომიტეტი! პრეზიდენტმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, რუსულენოვანი მოსახლეობა, დღეს გულხელდაკრეფილნი არ ვსხედვართ და შეძლებისდაგვარად ვმოქმედებთ! ჩვენს პრეზიდენტს, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატს, გამოჩენილ მებრძოლს მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში, არ ძალუძს გვერდი აუარაოს სსრკ-ს ნებისმიერ რუსულენოვან მოქალაქეს, სადაც უნდა იყოს იგი და მკაფიო წერტილი არ დაუსვამს მის წინაშე წამოჭრილ ყოველ პრობლემას! თუკი საჭირო იქნა, დახმარებისათვის კალაშნიკოვის მარკის ავტომატსაც არ დაიშურებს ამ პრობლემების გადასაწყვეტად!

გადაცემულია სატელეფონო ხაზით, ყურმილი ჩემს უფროს ძმას ეკავა, რუსული ქალაქების დედაქალაქ კიევში, 1991 წლის თოთხმეტ იანვარს, გამთენიისას.

ჩაიწერა ოლეგ ჩორნოგუზმა
სატელეფონო გადაცემას დაესწრო
და გადმოაქართულა
სოსო ჩოჩიამ

[4]) გურენკო — მხედველობაშია სკკპ ცკ-ს ერთ-ერთი მდივანი.

ეპიგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირ სოკოლოვს!

ჩვენ „ზღვიდან ზღვამდე"
ხსენებას გვიშლი,
შენ გაგიმართავს
დიდი ნადიმი,
და ვინ დაგიშლის —
ოკეანიდან
ოკეანემდე მიდი,
ვლადი მირ!

ერთ „ფრთხილ" ჟურნალისტს

ემოციები გაშინებს?! —
ხარ ჟურნალისტი უვიცი!
უემოციოდ, ჰაბუკო,
შენ როგორ გაჩნდი, თუ იცი?!

პატარა ვაგნერი

შენ ხარ ვაგნერი,
ფრთხილი მეშჩანი,
აზრებს კი არა,
სიტყვებს ჩასცქერი...

შენ ხარ ვაგნერი,
ოღონდ — „ფაუსტის" —
და არა დიდი
რიხარდ ვაგნერი!

ერისკაცის მაგინებელნი

მორჩით, ლაფისროლიებო,
მაგ ამაო ქადაგებას:
ტალახი არ ეკარება
მარმარილოს ქანდაკებას!

სამხედრო თვითმფრინავი თბილისის თავზე

მქისი ხმით რომ სერავს
სივრცეს,
რაღაც არ ჰგავს
არჭანგელოზს!..
ისევ ხომ არ ემუქრება
ეს ყორანი საქართველოს?!

არის ასეთი არმია!

„თავის" ხალხებს აწიოკებს,
წინსვლის სულის დამცხრობელი,
აცტეკებსაც არ უნახავთ
ამისთანა დამპყრობელი!
იმპერიის გენერალი
არის უნდო ველურ ხარზე!...
სისხლის ზღვაში არ იხრჩობა,
რადგან მოლოქს აზის მხარზე!

თავ(თ)ხელიძე მიხეილა

ვინმე მიხეილ თავხელიძე, მსგავსად ჭალიძის, გუდაძისა და სხვა იუდებისა, უცხოეთის რადიოარხებში ეწევა ბინძურ ანტიქართულ პროპაგანდას.

აცუნდრუკდა ღმერთგამწყრალი
თავთხელიძე მიხეილა!..
ერის სამტრო ჭრიჭინით რომ
ვერაფერი იხეირა,

ვინმე ფატმა სალკაზანას
ჭორებით რომ ამარაგებს, —
ნუ ჰგონია, რომ იუდა
ერთან პასუხს აღარ აგებს!

რადიოთი მოგისმინეთ:
„რესპუბლიკა რასა ჰქვია?!
თბილისშია... ბახ!.. ბუხ!.. ომი!
ზახ-ბუხ!.. სრული ანარქია!"

ვინ ხარ შენ და ის ვინ არის,
ბოროტების მხარდამჭერი, —
მშობელ ხალხის მაგინებელს
რომ გენდო და მოგცა ჭერი?!

თავის ერის მოღალატემ
ვერასოდეს იხეირა!...
შენ გაგისკდა თხელი თავი,
თავთხელიძე მიხეილავ!

ჯობს, წაშავდე ღამურებთან,
რაკი ბოღმით იგუდები, —
საქართველოს სხვაც ეყოფა
იასენი, იუდები!.

რეპლიკა ალან ჩოჩიევს

გამოყოფას რომ აპირებთ
სხვის მიწაზე ბედასლები,
მეგობრები მოიძულეთ
და დამპყრობლებს ეტმასნებით,
ამისთანა ჭკუით მართლაც
როგორ შეძლებთ ქვეყნის
მართვას?!

პეტრუშენკოს

რეპორტაჟი ლიტვიდან

პირველად გოგონამ
ისროლა,
გახვრიტა ჯავშანი
ტანკისა.
ამიტომ დავრაზმეთ
არმია
რომ კერა ჩაგვეჭრო
ჯანყისა!

დავძარით დესანტი
ჯგუფებად —
ყველას აქვს თავდაცვის
უფლება!

გამოცანა

იმპერიის ნანგრევებზე
იმპერია შენდებოდა,
ხშირდებოდა სიტყვა ფუჭი,
ცხოვრება კი ძნელდებოდა
და ქიმერის ძეგლზე მდგარი
ქადაგებდა სიბრძნეს მკვდარი!..

ჯაყოს მიზნები

თავისუფლების ხიზნებო,
ესეც ახალი ცოტნეა!
იცანით?! ჯაყო მოსულა!
დახეთ, წერაც კი სცოდნია!
თუმცა დენდივით აცვია,
აქუხებს ძლევის ნაფირებს,
ვერ დაუფარავს მიზნები —
ხევის დაპყრობას აპირებს!

გარდაქმნა ჰადესურად

კრემლის კერბერი იცოფება,
არავის ინდობს!..
ქვესკნელის ღმერთი მოიწვია
და შველას ითხოვს!
„სად არის კუშტი პლუტონიო?" —
კითხულობს სული.
„ზესკნელშიც უნდა დაამყაროს
სიმშვიდე სრული!"

დაკარგული პატივი

ღორი გაპარსეს,
წააწერეს მტარვალის გვარი,
გაუშვეს... ყველამ
ჩაუკეტა საბრალოს კარი!
დადის, ღრუტუნებს,
იყინება და ჩივის რასა?
„რისთვის მამცირებთ?
განა ვინმეს
ჰამს ჩემი რასა?!"

მიწის დარდი

გარდაბანში ვინმე ჯალალ მამედ-ოღლის უდგას 14-ოთახიანი ექვსი სახლი, იყიდა 4548 კვადრატული მეტრი ნაკვეთი.

გაზეთებიდან

იყო ჯალალ-ედინი და
არის ჯალალ მამედ-ოღლი!..
ის იპყრობდა, ეს ყიდულობს,
რომ გამართოს მალე დოღი!

წითელ ხიდთან დაღვრემილი
ბერიკაცი იწვა მწყრალი:
„ვაი ქართველს, ვინც გაყიდა
საქართველოს მიწა-წყალი!"

ილუსტრაციები
ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ზუბაშვილი







უნარნეროები

საბჭოული ფილიქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სხვაგვარად არ ძალმიძს!..“

იქნებ მართლა ვცდები და
სირაქლემას ვგავარ —
თითქმის დაბადებიდან
შუაში რომ ვდგავარ:!

მაგრამ რა ვქნა, როდესაც
მუდამ ნერვებს მიშლის —
მამულს აქცევს, რომ ვხედავ,
ძმათა შორის ქიშპი?!

სავალალო ის არი,
რომ ვერ ხედავს ერი —
საერთო გვაქვს მიზანი,
საერთო გვყავს მტერი!

თუმცა მთელ ერს რას ვერჩი
(მაპატიე, დედავ!) —
მე აქ ერთეულების
დაბრმავებას ვხედავ!

— ძმაო, ძმის გულს ესროლე! —
მოწოდება ისმის
და იღვრება ესოდენ
იშვიათი სისხლი!..

და კაკანებს ავბედით
ავტომატის ჯერი,
ვბეუტავთ, როგორც აბედი,
და ხითხითებს მტერი!..

მიკიჟინეთ, რაკი გსურთ,
შენც, ძმაო, და შენც, ძმავ!
ვფიცავ წინაპრების სულს,
მინდა თქვენი შერწყმა!

გულში არ მაქვს ფიქრები —
მოყვასი რით მოვსპო! —
ვერც ყვარყვარე ვიქნები
და ვერც ქაიხოსრო!

კვლავ იმედით შევხედავ
ჩემს გასავლელ მანძილს!
შენც მიყვარხარ, **ისიც** და
არავინაც არ მძულს!

დისონანსები

ავად კბილებდაღრჭენილი,
ბოღმით თვალებარეული,
ხელში ავტომატიანი —
მომდევს ჩემი ორეული!..
ეს ჩვენება ჯოჯოხეთის
დამდაგველი არი ალი,
სიცრუე და ბოროტება —
აი, მისი არეალი!
მოკაკული კუდით მჩხვლეტავს
გესლიანი მორიელი,
მეც ვკვდები და ისიც კვდება,
ორივ — შხამით მორეული!..
ბოღმით თვალებარეული,
მომდევს ჩემი ორეული!..

მაჯამა

იცოდა — სიკვდილისაგან
მისი ღიმილი იხსნიდა!..
ის ამ დროს სხვასთან იყო და
კაბის გულისპირს იხსნიდა!..
ღმერთი პასუხისმგებლობას —
ამ ამბის გამო — იხსნიდა!

ნუგზარ აფხაზავა

საოჯახო გამოცანები

შინ მეცა მყავს ის ნადირი,
ურჩია და თავისნება,
თუ ხელფასი არ მივეცი,
აფთარივით იკბინება!..

(ცოლი)

ჩემო კარგო, მისმინე,
გამოიცნო, ის მინდა:
ცოლის ალი-კვალია.
ვინ იქნება? მისი...

(და)

ამაყად, როგორც სარდალი,
სახლში მომეჭრა ქალი,
ფეგესლა, ლამის შემჭამა,
თანაც დამადო ვალი.

(სიდედრი)

მუდამ მოლოდინშია
მისი ცოლის სიავდრის!
განაბულა ჩემსავით
საცოდავი...

(სიმამრი)

ისიც ჩემსავით წვალობს,
ისიც ჩემსავით იწვის!..
ვინ არის, ანდა ვისი?
ვინა და ჩემი...

(ქვისლი).

თემურ ჯოჯუა

ლოცვა

დე, დაილოცოს ჩვენი
კუთხე, ნაბოძი ღვთისგან!
ჩვენ დაგვანებონ თავი,
არას მოვითხოვთ სხვისგან!

ქვეყნად სიმბოლო ვიყოთ
სიყვარულის და ძმობის!
ნატამალიც არ დარჩეს
კომუნისტური წყობის!

აღარ ისმოდეს ჩვენში
ხმა ვაისა და ვიშის,
გადააშენე, ღმერთო,
როდიონოვის ჯიში!

ისმოდეს სიტყვა კაცის,
პატიოსნის და მართლის,
შეგვინარჩუნოს ღმერთმა
ერთიანობა ქართლის!

ვალუტა გვქონდეს ბევრი,
თავში კი — საღი აზრი,
პირველნი ვიყოთ მუდამ
ერთაშორისი ხაზით!

დღე — შრომა, დასვენება,
და ტკბილი ძილი — ღამით!
წმიდა გიორგი გვფარავდეს!

ამინ!

ალექსანდრე გორგიშელი

— გახსოვს, აქ სულუგუნს, ძეხვს, კარაქს, ზაქარს,
ხორცს რომ ვყიდულობდით და წონაში გვატყუებდნენ?!
— ეჰ, წონაში მოტყუებას ვინღა ჩივის!

ნახ. დ. ზარაფიშვილისა

იქნება იცი რამე ახალი?..
მოგაწევინე, ძმაო, თამბაქო!..
დღეს გადავიცვამ ჩოხა-ახალუხს,
წავალ უაჩალად და საბრაგოდ!

გაცემ-მიცემის ზეჯიბრი არის,
იქნება ფიქრი გამითამამდეს!..
უნდა დავეცე სქელჯიბიანებს —
ჩვენი ზავგნელი დროის თავადებს!..

გწამდეს სიწმინდის უნაპირობა!..
დავეკვეთი წლების ალმართ-დამრეცებს!..
უნდა დავეცე ზურს, გულგრილობას
და გამოძალვას უნდა დავეცე!..

მურმან ძველაია

ზღაპარი სამუშაოებზე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მუშაკი და ჰქონდა მას სამუშაო. მუშაკს თავისი სამუშაო არ უყვარდა, მაგრამ არც მისი მიტოვება უნდოდა. ასე ცხოვრობდნენ.

— სამუშაო მგელი როდია, ტყეში გამექცეს, — თქვა ერთხელ მუშაკმა. სამუშაოს ეწყინა.

„ავდგები და გავიქცევი, — გაიფიქრა მან, — ტყეში მგლებს შევაფარებ თავს!“

როგორც ჩაიფიქრა, ისე გააკეთა, გაიქცა უღრან ტყეში და მიაგნო რუხ მგლებს.

— მიმიღეთ თქვენთან, — უთხრა, მე თქვენ გამოგკვებავთ!

— მგლებს ფეხები კვებავენ, — მიუგეს მგლებმა.

მიმიღეთ, — კვლავ არწმუნებდა სამუშაო, — და თქვენ აღარ დაგჭირდებათ ფეხების შეწუხება. ჩემგან ცხენები იხოცებიან. ასე რომ, ხორცი ყოველთვის გექნებათ. ამასთან მე კარგი სამუშაო ვარ. ასეთები გზაზე არ ყრია!

ყურადღებით შეხედეს მგლებმა, ხედავენ, რომ მართლაც ხელსაყრელი სამუშაოა, თანაც არც მტვრიანი, ასეთს ვინ გადააგდებდა?!.

— დასანანია, — უთხრეს მგლებმა. — მაგრამ ჩვენ სამუშაო არ გვჭირდება, ჩვენი საქმე გვაქვს! — და თავიანთ საქმეებზე გაიქცნენ.

სამუშაომ გზა განაგრძო და იმისთანა ადგილას მივიდა, რომ არ მისულიყო, სჯობდა. ხედავს: ქოხი ქათმის ფეხებზე შემდგარა და ჩაწერილა მასში კუდიანი დედაბერი.

მან თვალი შეასწრო სამუშაოს და გაუხარდა.

— დროზე მოხვედი, — უთხრა, — მომისწარი. ახლა ჩემთან ივანე-სულელი უნდა მოვიდეს და მინდა იმისთანა სამუშაო მივცე, რომ აკეთოს და ვერ გააკეთოს. აი, სწორედ შენ თავს მივცემ. როგორი ურთიერთობა გაქვს სულელებთან?

— ოჰო-ჰო! — წამოიძახა სამუშაომ, — სულელებს კი მიყვარს!

და სწორედ ამ დროს ივანე-სულელიც მოვიდა. კუდიანმა დედაბერმა დაუბერა იგი და ეუბნება:

— ჰამაში, ივანე, უჭკუო არა ხარ. ახლა მინდა ვნახო, როგორი მუშაობა შეგიძლია.

— მით უფრო მუშაობაში სულაც არა ვარ უჭკუო, — ეუბნება ივანე — უფლისწულობას ვუმიზნებ.

სამუშაო იქით გასწია, კუდიანი ბებრუხანა ღუმელში შეაგდო და თვითონ ცხრა მთას იქით გადაიხვეწა, რათა უფლისწულად მოწყობილიყო.

სამუშაოს მთლად წაუხდა გუნება ასეთი მოპყრობისაგან. კუდიანი დედაბერი ღუმელიდან გამოაჩოჩა, ჭვარტლისაგან გაბანა, ლოგინში ჩააწვინა. დედაბერი კი ეუბნება:

— გმადლობ, ქალიშვილო ალერსისათვის, ახლა წადი და თამამად მიეახლე შენს საბედოს, მე კი მას მოგიჯადოებ.

და წავიდა სამუშაო მუშაკთან. მივიდა და რას ხედავს: ის უკვე დარბის, ეძებს მას. იმისთანა ბრძანებულება გამოვიდა, ყოველმა მუშაკმა თავისი სამუშაოსათვის პასუხი უნდა აგოსო.

და დაიწყეს მათ ერთად ბედნიერი ცხოვრება. ბრძანებულებამ კი, ამბობენ, ცხრა მთას იქითაც მიაღწია და ივანე უფლისწულობიდან ისევ სულელად ჩამოაყენესო.

რუსულიდან თარგმნა
იგორ ცეცხლაძემ

ნახ. **ბ. ზუბაშვილისა**



უწარწერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „ნიანგი" №1-2. (1852). იანვარი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

საredakcio კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯახუა ამირეჯიბი, ნოდარ ბარბაქაძე, რევაზ თავარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიკლაური.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

ჯადაეცა ასაწყობად 28. 11. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 02. 92 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. №2137. ტირ. 63 000.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/შგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მ ე მ ა ნ ქ ა ნ ი ს — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.

ფასი 5 მან.

ინდექსი 76187

ეკლესიური ანეკდოტები

ვიქტორ ალდანსკი
(იაკუტია)

რა გამალებით გარბიან
ეს ულმობელი წლები! —
გენადი სამოცს გადასცდა,
სულ დაეთოვლა თმები,
გიშერა წვერიც მთლიანად
გადაეპენტა თეთრად,
ხალისიანი გუნება
გამოეცალა მკვეთრად!..

რამდენჯერ გავუმეორე,
რაც სანუგეშოდ ითქმის:
„რა ბევრი სამოცი არის?! —
ორჯერ ოცდაათს ითვლის!
ჭაღარა სამშვენისია,
ელვარებს ვერცხლისფერად,
თუ დაძაბუნდა სხეული,
სული ნორჩია ჯერაც!"
ამაო არის ჩიჩინი,
მას მაინც არა სჯერა!..
ჰოდა, იმ დღესაც რომ შემხვდა,
პირს არ უხსნიდა დანა: —
„კვლავ რომ ჭაბუკად მიმიღონ,
რა უნდა ვქნაო, განა!"
ვურჩიე: „დაიწყე-მეთქი,
ძმაო, ლექსების წერა
და ახალგაზრდა პოეტად
გაღიარებენ ხელად!"

თარგმნა
ზოთა ამირანაშვილმა

— ჯობი, რას ჰგავს ეს?! ისევ დააგვიანე სკოლაში? — **საყვედურობს მასწავლებელი.**
— სწავლას ყოველთვის მოვასწრებ, სერ!

—:—:—

— იცი, რა მოსდით იმ გოგონებს, რომლებიც ბოლომდე არ მიირთმევენ ფაფას?
— ვიცი: ისინი მანეკენები ხდებიან!

* * *

პიტერმა ავადმყოფი მასწავლებელი საავადმყოფოში მიიყვანა. მეორე დღეს, თანაკლასელის ერთ-ერთ შეკითხვაზე უპასუხა:
— მდგომარეობა არასაიმედოა, ორშაბათს გამოვა სკოლაში!

* * *

— სად აოს შენი დღიური? — **ეკითხება დედა პიტერს, რომელმაც ჩანთა გადმოაყირავა და, დღიურის გარდა, ყველაფერი იყო.**
— მარეკს ვათხოვე, — **უპასუხა ბიჭმა, — მას უნდა, რომ მშობლებს გული გაუხეთქოს!**

* * *

მშობლები პატარა პიტერთან ერთად პარკში სეირნობდნენ. დაღლილები კაფეში შევიდნენ. მამამ ორი კოთხა ლუდი მოითხოვა.

უეცრად პიტერმა იკითხა:
— ეს ჩვენ, მაგრამ დედამ რა უნდა დალიოს?!

—:—:—

— გავარჩიოთ წინადადება — „ლუიჯიმ ჩაიცვა შარვალი". — **ამბობს მასწავლებელი.**
— როგორ ფიქრობ, პიტერ: არსებითი სახელია „შარვალი". მხოლობითშია თუ მრავლობითში იგი?
— ზედა ნაწილი მხოლობითშია, ხოლო ქვედა ნაწილი მრავლობითში.

—:—:—

მასპინძელმა სტუმრებს მოუბოდიშა იმის გამო, რომ ნამცხვარს ნიგოზი აკლდა. პატარა პიტერი სახწრაფოდ გავარდა ოთახიდან, მოიტანა ნიგოზი და ნამცხვარს დაადო ზემოთ.
— საიდან აიღე? — **ჰკითხა დედამ.**
— ს ა თ ა გ უ რ ი დ ა ნ! — **უპასუხა ბიჭუნამ.**

—:—:—

ექიმი პაციენტს ეკითხება:
— როგორ გძინავთ?
— ცუდად! საღამოს ვიძინებ ადრე, დილით ვდგები გვიან, სამაგიეროდ სადილის შემდეგ სულ ვწრიალებ საწოლში და არაფრით არ მეძინება!..

—:—:—

— რა ეღირება თქვენს სასტუმროში ერთი კვირით ცხოვრება?
— ერთი წუთით, ახლავე დავთვლი და გიპასუხებთ!
— ნუთუ, ზეპირად არ იცით ფასი?!
— არა, ბატონო, ამდენ ხანს აქ არავის უცხოვრია!

თარგმნა მანანა ჩოკოშვილმა

605/25.

დამშეული „საბჭოთა ხალხი“ ნახ. ბ. ლოგინიძისა